პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

შაბათი, 22 აგვისტო 1936 წ. № 194 (4693)

ფასი 10 კაპ.

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

„როცა მტერი არ ნებდება, მას სპობენ". მას სპობენ არა მარტო პოლიტიკურად, იდეურად — სპობენ ფიზიკურადაც!
თეთრი ტერორის ორგანიზატორებს, ფაშისტური ოხრანკის მოსყიდულ აგენტებს, სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი ხალხის მოღალატეებს—პასუხს გასცემს პროლეტარული დიქტატურის შიშველი ხმალი!

მძლავრი და ზარდამცემია ხალხის მრისხანება

ჩვენმა ქვეყანამ იცის მრავალი მშვენიერი დღესასწაული, როდესაც მთელი ხალხი, დიდით პატარამდე, სიხარულსა და მხიარულებას ეძლევა. არაფერია ჩვენს რევოლუციურ დღესასწაულებზე უფრო ლამაზი. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ იციან სიცილი და დასვენება ისე, როგორც ჩვენში. დიდი პროლეტარული რევოლუცია ხალხს აძლევს ყველაფერს, რაც კი საჭიროა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის. ჩვენი სამშობლო წლითიწლობით უფრო მშვენიერი, უფრო საყვარელი და ძვირფასი ხდება თვითეული მოქალაქისათვის. შემოქმედებითი შრომა, წარმტაცი პერსპექტივები — აი ჩვენი სიხარულისა და შთაგონების მუდმივი წყარო.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არის ხოლმე საერთო სახალხო მრისხანების დღეებიც, როდესაც მტრებისადმი საღმთო სიძულვილის ცეცხლი ენთება მშრომელთა გულში, როდესაც ერთი მისწრაფება შეადუღებს ხოლმე მთელი 170-მილიონიან ხალხს თავისი დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის გარშემო და მრისხანე კედლად აღუდგება ხოლმე მტერს. ასე იყო სამოქალაქო ომის გადამწყვეტ დროს, ასე იყო კერზონის ულტიმატუმის დღეებში, ასე იყო მაშინ, როდესაც იაპონელი მილიტარისტები უკვე იარაღს აჟღარუნებდნენ ჩვენი შორეული აღმოსავლეთის საზღვრებზე, ასე იყო 1934 წლის დეკემბრის იმ ღრუბლიან დღეს, როდესაც ტროცკისტ-ზინოვიევურმა ბანდიტებმა მუხანათურად ისროლეს ამხანაგ კიროვს.

საშიში და მძლავრია საბჭოთა ხალხის მრისხანება, როდესაც მტერი ეხება ყველაზე უფრო მშობლიურს, ყველაზე მახლობელს, ყველაზე ძვირფასს. ამჟამად, როდესაც გამოქვეყნებულია საბრალმდებლო დასკვნა ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის საქმეზე, როდესაც უკვე სასამართლოს კვლევაძიების პირველ დღეებში გამორკვეულია მთელი საშინელება იმ დანაშაულთა, რაც მზადდებოდა, მთელი საშიშროება მტრის ქურდული განზრახვებისა — ძნელია იმის გადმოცემა, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში. მთელი ჩვენი ქვეყანა ამოძრავდა, ხალხის მრისხანების ტალღები ყველა მხრიდან მიედინება ბრალდებულთა სკამებისაკენ, რომლებზეც ზის უბადრუკ და საზიზღარ მახინჯთა და ფანატიკოსთა ჯგუფი. მათ უნდოდათ ჩვენი ხალხისთვის წაერთმიათ ის, ვისაც ჩვენ მივყავართ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, ის, ვისი სიცოცხლეც ხალხს ეკუთვნის. მათ უნდოდათ მოეკლათ ჩვენი მამა, ბელადი და მასწავლებელი — სტალინი.

მაგრამ:

— სტალინის სიცოცხლე ხომ ჩვენი სიცოცხლეა, ჩვენი მშვენიერი აწმყო და მომავალი. მასზე ხელის აღმართვა — მთელ ხალხზე ხელის აღმართვაა.

— ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე წმინდა ამჟამად არის დიდი სამშობლოს სიყვარული, პარტიის სიყვარული, თქვენი სიყვარული, ამხანაგო სტალინ, და მზადყოფნა, რათა მთელი სიცოცხლე შევწიროთ იმას, რომ უფრო მძლავრად აყვავდეს სოციალიზმის სამშობლო, რომ უფრო ურყევი იყოს ჩვენი საზღვრები.

— თქვენი სიცოცხლე, ამხანაგო სტალინ, ყველაფერზე ძვირფასია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. და ამ სიცოცხლისათვის, თქვენთვის, ამხანაგო სტალინ, მზად ვართ ყელი გადავღრღნათ ყოველ ტერორისტს.

— უსაზღვროა ჩვენი სიძულვილი მტრების მიმართ. უსაზღვროა ჩვენი სიყვარული, ჩვენი ერთგულება პარტიის, სტალინის მიმართ.

— მათ რევოლვერის ლულა მიუშვირეს პარტიის მშვენიერ, მგრძნობიარე გულს, მათ სურდათ მოეკლათ ის, ვისაც მრავალერიანი საბჭოთა კავშირი ნამდვილი ადამიანური ბედნიერებისაკენ მიჰყავს.

ტელეგრაფს ყოველ საათს მოაქვს ათასობით ასეთი მღელვარე სტრიქონები. ამას სწერენ კიროვის, სტალინგრადის, მაგნიტოგორსკის, გორკის, კრამატორსკის ქარხნების, „შარიკოპოდშიპნიკის", „სერპ ი მოლოტის", ურალის ქარხნების მუშები, დონბასის, კუზბასის მაღაროელები, რკინიგზელები, მეზღვაურები, წითელარმიელები, ყველა რაიონის კოლმეურნეები, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, პროფესორები, აკადემიკოსები.

წყევა-კრულვას უთვლიან კაცისმკვლელებს რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, უზბეკები, თურქმენები, თაჯიკები—ყველა ეროვნებათა მშრომელები ჩვენი კავშირის ყველა მხრიდან.

ხალხის მასები, რომელნიც შეპყრობილი არიან ზარდამცემი მრისხანებით, ერთსულოვნად მოითხოვენ:

— გაისრისონ ქვეწარმავალნი! დახვრეტილ იქნან ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ბანდის მონაწილენი!

ეს არის მთელი ხალხის ხმა, ეს არის მილიონობით მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა!

ზიზღის გრძნობა იპყრობს ყველას, ვინც კი იგებს ტროცკისტულ-ზინოვიევური ხროვის დანაშაულს. იბადება დაუძლეველი სურვილი ამ უწმინდურთა გასრესისა. როდესაც ადამიანი გზაზე შხამიან გველს ხვდება, სრულიად უყოყმანოდ სპობს მას, იმიტომ რომ გველს შეუძლია კბენა მოულოდნელად, მზაკვრად. ისეთსავე წადილს განიცდიან საბჭოთა მოქალაქენი ამ შემთხვევაშიც, იმიტომ რომ ფაშისტი ვაჟბატონები და მათი სულისჩამდგმელნი ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი ყოველ წამს [illegible] არიან —ესენი არიან ბანდიტები, რომელთაც არა აქვთ არც პატიოსნება, არც სინდისი, რომელთაც არაფერი მოეპოვებათ, გარდა ველური ბოროტებისა.

გუშინ კამენევმა ცინიკურად მოახსენა სასამართლოს, თუ რა გზა გაიარა ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ჯგუფმა. პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მათი აშკარა გამოსვლის დროს მასებზე დამყარების ცდები მარცხით დამთავრდა. დაეკარგათ პარტიის ხელმძღვანელობის გათიშვის იმედიც. მათ ბოლოსდაბოლოს არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ პარტიამ ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია და რომ უკვე აღარ არის მოსალოდნელი ეკონომიური კატასტროფა. ჩვენი ქვეყანა, რაც უნდა არასასიამოვნო ყოფილიყო ეს მათთვის, მტკიცედ მიდიოდა წინ.

რა დასკვნა გამოიტანა ყოველივე ამისაგან ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ბანდამ?... რევოლვერისათვის მოეკიდა ხელი.

ზინოვიევმა და კამენევმა გუშინ აღიარეს, რომ მათ დაიწყეს ბრძოლა პარტიის ხელმძღვანელობასთან ისე, რომ არ ჰქონიათ არც ბაზა, არც დროშა, არც ლოზუნგები. ხელისუფლების წყურვილი—აი რა ედო საფუძვლად მათ დანაშაულებრივ ტერორისტულ საქმიანობას. ზინოვიევისა და კამენევის აღიარებით ტერორი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მათი ზრახვების განხორციელების ერთადერთი საშუალება გახდა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჯგუფს, რომელსაც მასებში არავითარი ფესვები არა აქვს, რომელიც სრულიად უცხოა მშრომელი ხალხისათვის, არ შეეძლო ჰქონოდა სხვა რამის იმედი, გარდა ფაშისტური რევოლვერისა. აბა ეცადათ მათ და თავისი ზრახვებით რომელიმე ქარხანაში ან რომელიმე კოლმეურნეობაში შეეყოთ ცხვირი. იქ მათ გასწორდნენ, გააცამტვერებდნენ. მაშასადამე, ისინი უნდა დამყარებოდნენ მხოლოდ ცალკეულ ტერორისტებს, როგორც საკუთარს, ისე საზღვარგარეთიდან იუდა ტროცკის მიერ ფაშისტური გესტაპოს დახმარებით გამოგზავნილებს.

პროკურორის კითხვაზე—საიდან აღებდათ ასეთი გაბოროტება ზინოვიევს კამენევს და მათს დამქაშებს, კამენევმა გუშინ სასამართლოში სთქვა: ჩვენს გაბოროტებას სოციალიზმის წარმატებები იწვევდაო.

მაშასადამე, მათ სურდათ მოეკლათ სტალინი, მოეკლათ ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, ჟდანოვი, კოსიორი, პოსტიშევი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა ბედნიერად და შეძლებულად იწყო ცხოვრება, იმიტომ, რომ აშენებულია სოციალიზმის დიდებული შენობა და მთავრდება მისი გარეგანი გაფორმება. მათ ბოღმა ახრჩობდა და როდესაც სტალინის მოკვლაზე ოცნებობდნენ, ამით ოცნებობდნენ ხალხის ბედნიერებისა და სიხარულის მოკვლაზეც.

აი ამიტომ არა აქვს საზღვარი ხალხის მრისხანებას, აი ამიტომ ღელავს საბჭოთა ხალხი და წყევლა-კრულვას უთვლის საზიზღარ მკვლელთ და მოითხოვს მათ მოსპობას. ჩვენი კავშირის ხალხთა ბედნიერება, ჩვენი ბავშვების ბედნიერება მინდობილი აქვს დიდ სტალინს, და ამხანაგი სტალინის წინააღმდეგ მახვილის აღმართვის ყოველი ცდა აღკვეთილი იქნება მრავალმილიონიანი ხალხის მთელი ძალღონით.

ერთიმეორის მიმდევნო ფაქტებით ააშკარავებს სასამართლო საშინელი პროვოკაციის სისტემას, რომელსაც ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი ნერგავდნენ. — ჩვენ ვრჩებოდით ტროცკიზმის ფილიალად სსრ კავშირში—განაცხადა გუშინ ზინოვიევმა სასამართლოში. აქედან არის ყველა თვისებაც. საზღვრები ტროცკისტებსა და ეგრედწოდებულ ზინოვიეველებს შორის დიდი ხანია წაშლილი იყო. მათ მიმართეს აზეფოვშჩინას, ასჯერ გამრავლებულს სიცრუეს და პროვოკაციას—ტროცკიზმის მუდმივ იარაღს.

თუ რა მორალური სახე აქვთ ამ ადამიანებს, ეს ჩანს შემდეგი ფაქტიდან, რომელიც ზინოვიევმა სასამართლოში გამოაქვეყნა. როდესაც ზინოვიევისა და მისი კომპანიის პირდაპირი დავალებით ლენინგრადში მოჰკლეს სერგეი მირონის-ძე კიროვი, ზინოვიევმა მეორე დღეს „პრავდას" სასწრაფოდ გაუგზავნა ნეკროლოგი, რომელშიც ნიანგის ცრემლებსა ღვრიდა ამ სიკვდილის გამო. რა თქმა უნდა, ეს ნეკროლოგი „პრავდის" რედაქციამ არ დაბეჭდა. განსაცვიფრებელია მხოლოდ ის, თუ რა სისაძაგლემდე მივიდნენ ეს ადამიანები, რომელთაც გაუსწრეს ყოველ სისხლის სამართლის დამნაშავეს. ბანდიტი, რომელმაც მოჰკლა თავისი მსხვერპლი, მორცხვად სტოვებს დანაშაულის ადგილს და თავიდან იშორებს მოგონებებს ჩადენილის შესახებ. ფაშისტი ტროცკისტ-ზინოვიეველი ბანდიტები ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ დიდი პროლეტარული მებრძოლის მათ მიერ დაღვრილი სისხლი.

ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და კაცისმკვლელთა მათი ბანდა ბოლომდე გამომჟღავნებული არიან. ხალხი მოითხოვს საზიზღარი ტერორისტების მოსპობას. დაიხვრიტოს ბოროტმოქმედთა მთელი ბანდა—ასეთია ხალხის განაჩენი.

„პრავდის" მოწინავე 21/VIII

ამხანაგ სტალინს

ტფილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-შემკეთებელი ქარხნის მუშათა წერილი

ძვირფასო და საყვარელო ჩვენო ბელადო და მეგობარო ამხანაგო სტალინ!

ამ დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთელი დიადი ხალხი უდიდეს მრისხანებას გამოსთქვამს სამგზის წყეული და საზიზღარი მკვლელების, მოღალატეების, პროვოკატორების უხერხემლო ჯგუფის—ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდის მიმართ, —ჩვენ, შენი დიდებული სახელის — ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშებს გვინდა მოგმართოთ შენ, ჩვენს გენიალურ ბელადს, მამასა და მასწავლებელს. გვინდა გითხრათ გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვები. გვინდა გითხრათ სიტყვები, რომელთა შეკავება ძნელია, ვინაიდან უსაზღვროა ჩვენი მუშური მრისხანება ფაშისტების დაქირავებულთადმი, ვინაიდან ურყევია ჩვენი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ვინაიდან უსაზღვროა ჩვენი სიყვარული პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთადმი, შენდამი—მტკიცე და ურყევი ლენინელისადმი, ჩვენი ბედნიერების მჭედლისადმი.

საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად სიხარულითა და აღფრთოვანებით ვკითხულობთ და განვიხილავთ ახალი კონსტიტუციის ოქროს სტრიქონებს. შენი სტალინური გენიით გასხივოსნებულია კაცობრიობის ამ უდიდესი დოკუმენტის ფურცლები. შენი დაუღალავი ზრუნვა საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერებისათვის ჩაქსოვილია ახალი კონსტიტუციის თვითეულ სიტყვაში.

და ამ დღეებში, როცა შენი სახელი არ სცილდება მუშებისა და კოლმეურნეების, პროფესორებისა და წითელარმიელების, მოხუცების, ბავშვებისა და დედების, — მთელი ხალხის ბაგეს, როდესაც შენი სახელი სოციალიზმის გამარჯვებათა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად კიაფობს, როდესაც შენი სახელი აღმართულია მილიონების მიერ, როგორც საბრძოლო დროშა, რომლის ქვეშაც ეს მილიონები მზად არიან იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, — ამ დღეებში ჩვენ გავიგეთ მტერთა უსაზიზღრესი შეთქმულება, გაუგონარი ბოროტმოქმედება, რომლის ჩადენასაც აპირებდა ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდა, სამგზის წყეულნი ქვეწარმავალნი, რომელთაც ადამიანის სახე დაჰკარგეს. მათი ბინძური თათები უკვე გასვრილია პარტიის საუკეთესო შვილის, დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვის სისხლში. მაგრამ მათთვის, ფაშიზმის ქვეწარმავალ ნაძირალათათვის, ეს ცოტაა. ისინი ცდილობდნენ აღემართათ ხელი შენს წინააღმდეგ, დიდო ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, შენს წინააღმდეგ, რომელიც შენს უმშვენიერეს სიცოცხლეს აძლევდი და აძლევ მარქს-ლენინის იდეებს, მუშათა კლასის, კომუნიზმის საქმეს.

მაგრამ ამ მოსისხლე მტრებს საშინლად წაუხდათ ანგარიში. მათ დაავიწყდათ, რომ არის ჩვენი ქვეყნის უძლეველი ძალა — მუშათა კლასი, რომელიც ცოცხალ მოუვალ კედლად გარს ერტყმის თავის ბელადთა, თავისი მამისა და მასწავლებლის —სტალინის ძვირფას სიცოცხლეს. არის გენიალური ლენინისა და შენ მიერ, დიდო სტალინ, გამოზრდილი რკინისებური პარტია, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდება თავისი რიგების მთლიანობასა და მონოლიტობას, დგას თავისი კლასის ავანგარდში და მთელ თავის სისხლს წვეთ-წვეთობით მისცემს თავის ხელმძღვანელთათვის. არიან საბჭოთა ქვეყნის პირველი ჩეკისტის ფელიქს ძერჟინსკის სახელოვანი მოწაფეები, რომელნიც ეწევიან უაღრესად პასუხსაგებ გუშაგობას ჩვენს ძლევამოსილ ხომალდზე, რომლის სახელიც არის „სსრკ".

შენ ყოველთვის მოგვაგონებ ხოლმე, ძვირფასო ბელადო. ჩვენი მტრებისადმი შეუნელებელ სიფხიზლეს, მეთვალყურეობას. ფიცსა ვდებთ შენს წინაშე, ამხანაგო სტალინ, რომ შენი ერთგული მოწაფის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით აღვზრდით ჩვენში კიდევ უფრო დიდ შეტევითს სტალინურ სიფხიზლეს მუშაობის ყველა უბანზე.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მრავალმილიონიან მძლავრ ხმას ვუერთებთ ჩვენს სიტყვას.

— გავსრისოთ ქვეწარმავალნი!

— არავითარი შებრალება ხალხის მოსისხლე, საზიზღარ მტრებს!

— გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ საქმეს—ლენინ-სტალინის საქმეს!

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ, ბრძენ, საყვარელ ბელადს სტალინს!

(წერილი ერთხმად მიღებულია ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშათა კრებაზე 1936 წლის 20 აგვისტოს).

(„პრავდა", 21 აგვისტო).

◇○◇

ესპანეთის ამბების საერთაშორისო მნიშვნელობა

პარიზი, 20 აგვისტო. საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ჟუო, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა ესპანეთში მოგზაურობიდან, „პოპულის" ფურცლებზე ათავსებს სტატიას, რომელშიც აცხადებს, რომ ესპანეთის ხალხის ახლანდელი ბრძოლა ფაშისტური მეამბოხეების წინააღმდეგ მარტო ესპანეთს როდი ეხება, იგი ეხება აგრეთვე საერთაშორისო ინტერესებს განსაკუთრებით დემოკრატიის დაცვის ინტერესებსაო. გენერალი ფრანკოს ამბოხება, ამბობს ჟუო, ფაშიზმის საერთო ბრძოლის მხოლოდ ეპიზოდს წარმოადგენს დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს დასტურდება არა მარტო იმ პოზიციით, რომელიც დაიკავეს იტალიისა და გერმანიის მთავრობებმა საფრანგეთის წინადადებების მიმართ ესპანეთის საქმეში ჩაურევლობის შესახებ, არამედ იმითაც, რომ გერმანია და იტალია მეამბოხეებს ამარაგებენ იარაღით, საჭურველით, აეროპლანებით, ადამიანებითა, და ფულით. ჟუოს სიტყვით, ახლანდელ პირობებში, როდესაც მეამბოხეებს ამარაგებს გერმანია და იტალია, „ნეიტრალიტეტი ხდება მოტყუებად, რომლის შედეგებიც შეიძლება მეტად მძიმე იყოს საფრანგეთის ინტერესებისა და მშვიდობიანობის საქმისათვის". ჟუო იძლევა გაფრთხილებას ჰიტლერისა და მუსოლინისათვის დათმობის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ამას მოჰყვება პატარა ქვეყნების ნდობის დაკარგვა დიდი დემოკრატიული ქვეყნების მიმართ. საფრანგეთს, ჟუოს აზრით, საკმაო დრო მოეპოვებოდა, რათა გადაესინჯა თავისი პოზიცია ნეიტრალიტეტის საკითხში რამდენადაც არც გერმანიის პასუხი, არც იტალიის პასუხი „არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს ქვეყნები მიემხრობიან შეთანხმებას ნეიტრალიტეტის შესახებ და რომ ისინი გულწრფელად მზად არიან ხელი მოაწერონ ამ შეთანხმებას. მოლოდინში ყოფნის გაგრძელება ნიშნავს მეამბოხეთა შეიარაღებისათვის ხელის შეწყობას; ეს მოასწავებს სამოქალაქო ომის უსარგებლო გაგრძელებას, ვინაიდან მეამბოხენი ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ—ვერ გაიმარჯვებენ. ეს ნიშნავს მძიმე პასუხისმგებლობა დაეკისროს ჩვენს დემოკრატიას. ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ, არ არის ჩარევა. ეს არის მხოლოდ უფლება ესპანეთის სახალხო ფრონტის რესპუბლიკური მთავრობისა თავისუფლად იყიდოს ის, რაც ესაჭიროება".

გერმანიის პროტესტი

პარიზი, 20 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება მადრიდიდან, რომ გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა ესპანეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა გერმანიის გემ „კამერუნის" გაჩხრეკის გამო. (ადს).

გერმანიის ჩარევა ესპანეთის საქმეებში

ბერლინი, 20 აგვისტო. გერმანიის საინფორმაციო ბიუროს გადმოცემით, გერმანიის გემი „კამერუნი", რომელიც გენუაში მიდიოდა კადიქსში შესვლით, ესპანეთის წყალქვეშა ნავმა ბ—6 და კრეისერმა „ლიბერდადმა" გაჩხრიკეს ესპანეთის ნაპირიდან დახლოვებით 12 კილომეტრის მანძილზე და გაჩხრეკის შემდეგ გემი იძულებული გახდა შეეცვალა კურსი და აეღო მიმართულება ხმელთაშუა ზღვისკენ. ამ ცნობას დღეს გერმანიის გაზეთები ათავსებენ თვალსაჩინო ადგილას მყვირალა სათაურებით და აშკარა მუქარას გამოსთქვამენ ესპანეთის მთავრობის მიმართ.

გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა თავის საქმეთა რწმუნებულს მადრიდში დაუყოვნებლივ მიმართოს ესპანეთის მთავრობას მკაცრი წარდგინებით ესპანეთის სამხედრო გემების იმ მოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებიც „საერთაშორისო სამართალს არღვევენ". ამასთან გერმანიის საქმეთა რწმუნებულს დაევალა განაცხადოს, რომ „გერმანიის მთავრობა ესპანეთის მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას იმ შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება ასეთი ინციდენტების განმეორებას მოჰყვეს". გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა უნდა „აცნობოს ესპანეთის მთავრობას, რომ გერმანიის სამხედრო გემებმა მიიღეს ბრძანება ყოველგვარი საშუალებით დაიცვან გერმანიის გემები ესპანეთის სუვერენიტეტის ზონის გარეთ ისეთი თავდასხმებისაგან, რომლებიც საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებიან".

ყველა გაზეთი, როგორც ჩანს, ზემოდან მითითებით, იდენტური გამოთქმებით სწერს „განსაკუთრებით სერიოზულ ინციდენტზე" და საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაზე". „გერმანია ძალიან სერიოზულად სთვლის მდგომარეობას"—აცხადებს ამის გამო ფაშისტური ოფიციოზის „ფელკიშერ ბეობახტერის" მოწინავე სტატია. გერმანია, — სწერს ფელკიშერ ბეობახტერი, — არავის უმალავს, რომ იგი ყურადღებით ადევნებს თვალს ესპანეთის ამბოხების სახიფათო განვითარებას და რომ, უწინარეს ყოვლისა, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სათანადო საშუალებებით უპასუხოს სამართლის ყოველ ახალ დარღვევას წითელი ურდოების მხრივ". დანარჩენი გაზეთებიც ასეთივე პროვოკაციული და მუქარის ტონით სწერენ და არაორაზროვნად აცხადებენ, რომ გერმანია შეეცდება გამოიყენოს ახალი ინციდენტი იმისათვის, რათა ჩაშალოს მოლაპარაკება ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ

ამასთან ერთად გაზეთები გააფთრებულ კამპანიას ეწევიან საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ (ადს).

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

○ პრეზიდენტმა ბენეშმა მიიღო საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, რუმინეთის და სამხრეთ სლავიის სამხედრო დელეგაციები, რომლებიც ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიის არმიის მანევრებს. საუბარი გაგრძელდა 1½ საათს.

○ როგორც ვარშავიდან იტყობინებიან, პოლონეთში მცხოვრები თეთრგვარდიელთა გენერალი ბულაკ—ბალახოვიჩი გაემგზავრა ესპანეთს.

○ „ფრანკფურტერ ცაიტუნგის" ცნობით, გერმანიაში ჩავიდა იტალიის ავიაციის მარშალი ბალბო.

○ პრაღაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაცია დივიზიის მეთაურის მერეცკოვისა და პოლკოვნიკ კაზაკოვისა და კონდრუსევის შემადგენლობით, ჩეხოსლოვაკიის არმიის სამხედრო მანევრებზე დასასწრებლად.

● იოსემიტში (კალიფორნიის შტატი) გაიხსნა წყნარი ოკეანის ურთიერთობათა ინსტიტუტის მეექვსე კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 150 დელეგატი სხვადასხვა ქვეყნიდან. საბჭოთა კავშირიდან ესწრებიან მოტილიოვი და როზმი.

○ რუმინეთის მთავრობამ სრული თანხმობა განაცხადა საფრანგეთის წინადადებაზე ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

○ ინგლისის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა დადგენილება, რომელიც კრძალავს ლიცენზიის მიცემას ესპანეთში იარაღის და სხვა სამხედრო საჭურვლის გატანაზე.

ჩეხოსლოვაკიის სასპორტო ორგანიზაციების მიწვევით 13 აგვისტოს მოსკოვიდან პრაღაში (ჩეხოსლოვაკია) გაემგზავრა საბჭოთა ფეხბურთელებისა და ჩოგბურთელების გუნდები. ბელორუსია-ბალტიის ვაგზალზე სპორტსმენები გააცილეს საკ. ალკკ ც. კ-ის მდივანმა ამხ. კოსარევმა, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ხარჩენკომ, მეგობრებმა და ნათესავებმა.

სურათზე: ამხ. კოსარევი ჩოგბურთელთა შორის (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. კუდრიავცევა, კოსარევი, ტეპლიკოვა, მულტინი და კალმიკოვა.

○

საბჭოთა ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვება

პრაღა, 20 აგვისტო. მოსკოვის სასპორტო საზოგადოება „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ჩეხოსლოვაკიის პროფესიონალ-ფეხბურთელების ნაკრებ გუნდთან შეჯიბრებაში (ამ გუნდის მოთამაშეები მონაწილეობას იღებდნენ მთელ რიგ საერთაშორისო შეჯიბრებებში) ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 9: 1. თამაშს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. დამსწრეებმა გამარჯვებულებს მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობის მოწვევის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

1. ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის აგვისტოს 2-ის დადგენილების შესაბამისად მოწვეულ იქნას ა. წ. ნოემბრის 15-ს, ქ. ტფილისში სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობა, სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად.

2. ს.ს.რ. კავშირის საბჭოების VII ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, ხელისუფლების ორგანოები, როგორც წესი, არ იქნან გადარჩეული, განიმარტოს, რომ დელეგატებს საბჭოების რაიონული ყრილობებისათვის ირჩევენ საქალაქო, სასოფლო და დაბების საბჭოების არსებული პლენუმები.

3. აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საბჭოების ყრილობები, აგრეთვე ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოების პლენუმები ჩატარებულ იქნან 1936 წლის 1-ლ ნოემბრიდან 10-ნოემბრამდე. ამავე ვადაზე ჩატარებულ იქნას საქართველოს საბჭოების ყველა სარაიონო ყრილობა.

4. განიმარტოს, რომ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის საბჭოების ყრილობებზე აირჩევიან დელეგატები როგორც სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობისათვის, ისე სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობისათვის.

5. დელეგატები სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობისათვის აირჩევიან საქართველოს სსრ-ის მოქმედი კონსტიტუციის 23 მუხლით დაწესებული ნორმების მიხედვით.

6. სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობის მოწვევის ჩასატარებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან დაარსებულ იქნას ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. თ. ჟღენტი (კომისიის თავმჯდომარე), ვ. ბაქრაძე, ს. მერკულოვი, ნ. ლაკობა, ზ. ლორთქიფანიძე, ი. ჯუჯუევი, მ. ნიორაძე, მ. [illegible], ა. მგელაძე, გ. სტურუა, მ. ტოროშელიძე, ა. რამიშვილი, ს. [illegible].

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.
თ. ჟღენტი

1936 წლ. აგვისტო 21.
ქ. ტფილისი.

◇ ◇ ◇

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მითითებანი

ამიერ-კავკასიის რკინიგზებზე საამშენებლო სამუშაოთა შესახებ

მოსკოვი, 19 აგვისტო. გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა ტრესტ „კავსტროიპუტის" უფროს ამხ. საბაშვილისათვის, ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროს ამხ. როზინცვეიგისა და ჩრდილო-კავკასიის გზის უფროს ამხ. მაივსკისათვის მიცემულ დირექტივაში აღნიშნა, რომ 1 აგვისტოსათვის ტრესტმა შეასრულა წლიური პროგრამის 20 პროცენტი, მათ შორის ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე —18 პროცენტი და ჩრდილო-კავკასიის გზაზე — 35 პროცენტი.

პროხლადნაია და მახაჩკალას სადგურებზე საცხოვრებლების და ცენტრალიზებულ სასიგნალო პოსტების დამთავრების ვადები, დაწესებული გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებით, — ჩაიშალა. ტრესტი არ მომზადებულა ბალაჯარაში დასახარისხებელი გორაკის მშენებლობისათვის და დაუშვებელი ნელი ტემპებით ეწევა მუშაობას ამჟამად.

განსაკუთრებით ცუდად მიდის მუშაობა ალიბაირამლი - ევლახის მეორე ლიანდაგებზე, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ოთხ გადასარბენზე რელსები უკვე მიტანილია, მათი დაგება ჯერ არ დაუწყიათ.

დღემდე არ არის ორგანიზებული დაბალასტება.

სახალხო კომისარმა დაავალა ტრესტის უფროსს საჭირო სახსრები მოახმაროს ისეთ ობიექტებს, რომლებსაც ტექნიკური მზადყოფნის დიდი პროცენტი აქვთ, მოაწყოს ორ და სამ ცვლად მუშაობა და უზრუნველყოს მათი დამთავრება უმოკლეს ვადაში (ადს).

◇

რუსთაველის თეატრი მოსკოვში

ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 20 აგვისტო. დღეს ვახტანგოვის თეატრში დაიწყო რუსთაველის თეატრის გასტროლები. დარბაზი სავსეა მაყურებლებით. მოუთმენლად ელიან წარმოდგენის დაწყებას. ესწრებიან ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები, თეატრალური კრიტიკოსები, პრესის წარმომადგენლები.

ფარდის ახდის წინ სიტყვით გამოვიდა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი, სახალხო არტისტი ამხ. აკ. ვასაძე. მან სთქვა:

— რუსთაველელთა მხურვალე სალამი წითელ დედაქალაქის ყველა მშრომელს. გულწრფელი სალამი მოსკოვის მთელს თეატრალურ საზოგადოებრიობას.

პარტიის და მთავრობის ნდობამ, საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვის მიერ კრემლში საქართველოს დელეგაციის მიღების დროს გამოთქმულმა სურვილმა — ენახათ რუსთაველის თეატრი მოსკოვში — უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა თეატრის კოლექტივს. ჩვენ ულრმესი მღელვარებით და დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით ველით ფარდის ახდას.

ა. ვასაძე მოკლედ ახასიათებს თეატრის მიერ განვლილ გზას და ამბობს, რომ მხოლოდ პარტიის დაუღალავი ზრუნვის შედეგად, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას უშუალო მითითებათა საფუძველზე იმარჯვებს რუსთაველის თეატრი. დასასრულ ა. ვასაძე ამბობს:

— გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

— გაუმარჯოს ჩვენი ბედნიერი სამშობლოს უდიდეს ხუროთმოძღვარს, დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

ეს სიტყვები მქუხარე ოვაციას იწვევს ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის მიმართ. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ოვაცია სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს". თეატრში შეკრებილი მოსკოველები ააშკარავებენ თავის სიყვარულს სტალინისადმი, თავის ერთგულებას პარტიისადმი.

სინათლე ჩაქრა, ფარდა აიწია, დაიწყო „არსენას" პირველი აქტი.

პიესა „არსენამ" უდიდესი წარმატებით ჩაიარა. დიდი შემოქმედებითი ოსტატობა გვიჩვენა მთავარი როლის — არსენა ოძელაშვილის— შემსრულებელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, ორდენოსანმა ა. ხორავამ, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. დავითაშვილმა (თავადი ზაალ ბარათაშვილი), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა აფხაიძემ (მასხარა გონჯა), მსახიობმა ქალმა მ. ჯაჯანაშვილმა (მსახური ნინე).

მესამე მოქმედების შემდეგ, როდესაც მქუხარე ოვაციების საპასუხოდ მთელი დასი სცენაზე გამოვიდა, სტუმრებს ვახტანგოვის თეატრის კოლექტივის სახელით მიესალმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ე. ზახავა.

◇ ◇ ◇

სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა შესრულებულია

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.—ამხ. ლ. ბერიას
საქ. სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს
საქ. განსახკომს—ამხ. მ. ტოროშელიძეს.
„კომუნისტის" რედაქციას.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა გატყობინებთ, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ფოლადისებური ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას ოპერატიული დახმარებით და ტფილისის პოლიგრაფიის საწარმოების, პირველ რიგში კი — სახელგამის სტამბების დამკვრელური მუშაობით — **სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა შესრულებულია ვადაზე ადრე** — 19 აგვისტოს (1 სექტემბრის მაგიერ, რომელიც დაგვიწესა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა). გამოცემულია 59 სახელწოდების წიგნი (61 სახელწოდებიდან არ მიგვიღია წარმოებაში გადასაცემად 2 წიგნი) საერთო ტირაჟით — 2.122.000 ეგზემპლარი.

წელს გამოცემული სახელმძღვანელოები გაიაფებულია შარშანდელთან შედარებით 28,9 პროცენტით.

ვადაზე ადრე სახელმძღვანელოების გამოცემის გამო უზრუნველყოფილია მათი დაყვანაც ადგილებამდე სამოსწავლო წლის დაწყების მომენტისათვის. მათი გაგზავნა რაიონებში დამთავრდა 20 აგვისტოს.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მმართველი: ნ. კიკნაძე
სახელგამის პარტკომის მდივანი: ჩხარტიშვილი
სახელგამის პოლიგრაფსამმართველოს უფროსი ე. ტოროტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

19 აგვისტოს საღამოს სხდომა

ბრალდებული დრეიცერის დაკითხვა

19 აგვისტოს საღამოს სხდომაზე პირველად დაჰკითხეს ბრალდებულ დრეიცერს. დრეიცერი ერთერთი ფრიად თვალსაჩინო ტროცკისტია, ტროცკისთან პირადად მჭიდროდ დაკავშირებული. იგი ტროცკის პირადი დაცვის უფროსი იყო. ტროცკისთან ერთად 1927 წლის 7 ნოემბერს მოაწყო კონტრრევოლუციური დემონსტრაცია. როცა ტროცკი ალმა-ატაში იყო გადასახლებული, დრეიცერმა მოაწყო კავშირი ტროცკისა და მოსკოვის ტროცკისტულ ცენტრს შორის.

ბრალდებული დრეიცერი აჩვენებს, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური არალეგალური ორგანიზაცია მტკიცედ ცენტრალიზებული და დისციპლინებული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია იყო.

დაწვრილებით ლაპარაკობს რა თავის ტერორისტულ მუშაობაზე, დრეიცერი აცხადებს, რომ დირექტივებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა საწინააღმდეგო ტერორის შესახებ კონტრრევოლუციური ბლოკის ტროცკისტული ნაწილი ღებულობდა საზღვარგარეთიდან ლ. დ. ტროცკისაგან, ხოლო სსრ კავშირში — ი. ნ. სმირნოვისაგან, რომელიც ტროცკის მითითებებს ემყარებოდა.

1931 წლის შემოდგომაზე დრეიცერმა ი. ნ. სმირნოვის დავალებით გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მივლინება ბერლინში ტროცკისთან კავშირის დასამყარებლად. სმირნოვის კონკრეტული დავალება იმაში მდგომარეობდა, რომ გამოერკვია ტროცკის დამოკიდებულება ზინოვიეველებისა და ტროცკისტების ბლოკის საკითხისადმი. ბერლინში დრეიცერი ორჯერ შეხვდა სედოვს (ტროცკის შვილს) კაფეში ლეიპციგერშტრასზე. მაშინ სედოვმა უთხრა, რომ ტროცკის დირექტივები შემდეგ გამოგეგზავნებათო.

1934 წლის ოქტომბერში დრეიცერის დამ ჩამოუტანა მას ვარშავიდან წერილი, რომელიც ტროცკის საკუთარი ხელით იყო დაწერილი ქიმიური მელნით. ეს წერილი შეიცავდა დირექტივას — დაუყოვნებლივ მოამზადონ და განახორციელონ ტერორისტული აქტები სტალინისა და ვოროშილოვის წინააღმდეგ. დრეიცერის სიტყვით, ეს წერილი, სედოვთან წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ამ უკანასკნელმა გადაუგზავნა ვარშავაში დრეიცერის დას. ეს წერილი დრეიცერმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა მრაჩკოვსკის.

რომ აუცილებელია გზის აღება ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე, ამის შესახებ დრეიცერს ჯერ კიდევ 1931 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ელაპარაკებოდა ი. ნ. სმირნოვი. ხოლო 1932 წლის შემოდგომაზე დრეიცერმა ი. ნ. სმირნოვისაგან ამ უკანასკნელის ბინაზე მიიღო პირდაპირი დირექტივა მოაწყოს ტერორისტული აქტები სტალინისა და ვოროშილოვის წინააღმდეგ.

ასრულებდა რა ლ. დ. ტროცკისა და ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის დირექტივებს, რომლებიც მას სმირნოვმა და მრაჩკოვსკიმ გადასცეს, დრეიცერმა მოაწყო ორი ტერორისტული ჯგუფი: გაევსკის ჯგუფი, რომელსაც დაევალა ტერორისტული აქტის განხორციელება ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ და ესტერმანის ჯგუფი, რომელსაც დაევალა ამხ. ვოროშილოვის მოკვლა.

მრაჩკოვსკი სავსებით ადასტურებს დრეიცერის ჩვენებას.

განაგრძობს რა თავის ტაქტიკას, სმირნოვი ცდილობს [illegible] გამოძვრება. იგი ამბობს: მართალია, ბინაზე ვიღებდი დრეიცერს როგორც აქტიურ ტროცკისტს მაგრამ მასთან ლაპარაკი მქონდა არა ტერორზე, არამედ „ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე".

თავიანთი თანამონაწილისა და ჩამგონებლის გაუტეხელობით აღშფოთებული მრაჩკოვსკი და დრეიცერი აცხადებენ:

„სმირნოვი სტყუის"!

ამხ. ვიშინსკის შეკითხვაზე ი. ნ. სმირნოვის პოზიციის შესახებ უპასუხებს ზინოვიევი.

ზინოვიევი: სმირნოვი სხვაზე უფრო მეტად იჩენდა აქტიობას და ჩვენ მას ვუყურებდით როგორც ბლოკის ტროცკისტული ნაწილის უდაო მეთაურს, როგორც ისეთ ადამიანს, რომელსაც ყველაზე მეტი ცნობები აქვს ტროცკის განწყობილებათა შესახებ და რომელიც მთლიანად იზიარებს მათ.

ვიშინსკი: და თქვენ პირადად მოგისმენიათ სმირნოვისაგან მთელი რიგი წინადადებანი?

ზინოვიევი: მე პირადად ვაწარმოებდი მასთან მოლაპარაკებას 2-3-ჯერ.

ვიშინსკი: ამ მოლაპარაკების დროს იჩენდა თუ არა სმირნოვი ჯიუტობას, დაჟინებით მოითხოვდა თუ არა ტერორისტულ აქტებს?

ზინოვიევი: როგორც უკვე ვთქვი, სმირნოვი მხურვალედ და დაბეჯითებით გვაჯერებდა, თუმცა ჩვენ დაჯერება არა გვჭიროდა, ჩვენ დაჯერებულნი ვიყავით.

დრეიცერის დაკითხვის შემდეგ ამხ. ვიშინსკი აკეთებს შემდეგ განცხადებას:

ვიშინსკი: მე ვთხოვ სასამართლოს, ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ზინოვიევის, რეინგოლდისა და დრეიცერის ჩვენებით დასტურდება, რომ 1932 წლის შემდეგ მიმდინარეობდა პრაქტიკული მზადება ტერორისტული აქტების მოსახდენად, ამასთან დრეიცერი ამას ახორციელებდა სმირნოვის უშუალო მითითებებით. ხოლო სმირნოვი ზინოვიევის წინაშე დაბეჯითებით მოითხოვდა ტერორისტულ მოქმედებაზე გადასვლას. მე გთხოვთ ამას მიაქციოთ ყურადღება, როგორც იმ გამოძიებიდან გამომდინარე დასკვნას, რომელიც თქვენ დღემდე მოახდინეთ.

ბრალდებული რეინგოლდის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ რეინგოლდის დაკითხვაზე.

მე, — ამბობს რეინგოლდი, — ორგანიზაციულად და პირადად ვიყავი დაკავშირებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის მთელ რიგ წევრებთან: ზინოვიევთან, კამენევთან, სოკოლნიკოვთან და სხვებთან. სწარმოებდა მოლაპარაკება „მომემარცხენეებთან" — შაცკინთან, ლომინაძესთან, სტენთან, აგრეთვე მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლებთან: რიკოვთან, ბუხარინთან და ტომსკისთან საერთო მოქმედების შესახებ.

ვიშინსკი: როგორ ათავსებდნენ ზინოვიევი და კამენევი ტერორისტულ საქმიანობას მარქსიზმთან?

რეინგოლდი: კამენევთან, 1932 წელს, ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის მთელი რიგი წევრების თანადასწრებით ზინოვიევმა დაასაბუთა ტერორის გამოყენების აუცილებლობა იმით, რომ თუმცა ტერორი შეუთავსებელია მარქსიზმთან, მაგრამ ამჟამად ეს მოსაზრება უკუგდებულ უნდა იქნასო. სტალინი აერთიანებს ახლანდელი პარტიული ხელმძღვანელობის მთელ ძალასა და სიმტკიცეს, ამიტომ პირველ რიგში სტალინი უნდა მოვიშოროთ თავიდანაო. კამენევი იმავე თეორიას ავითარებდა, ამასთან აღნიშნავდა, რომ ბრძოლის ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს ტერორისტული აქტები სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების — კიროვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, პოსტიშევის, კოსიორის და სხვების წინააღმდეგ. ამ მიზნით,— განაგრძობს რეინგოლდი — გადასწყდა ყველაზე შერჩეული გაბედული ადამიანებისაგან შეგვექმნა ორგანიზაცია, რომელიც შესძლებდა ამ ამოცანის ბოლომდე მიყვანას.

შემდეგ რეინგოლდი მოუთხრობს სასამართლოს საოცარ თვალთმაქცობას, რომელიც ზინოვიევმა და კამენევმა სისტემად აქციეს. ზინოვიევი და კამენევი, ამბობს რეინგოლდი, დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ ყოველნაირად გამოგვეყენებინა ყველა ლეგალური შესაძლებლობა, რათა „მუცელზე ხოხვით შევმძვრალიყავით პარტიაში" — ეს ზინოვიევის საყვარელი გამოთქმა იყო, — და მოგვეპოვებინა პარტიისა და, კერძოდ, სტალინის ნდობა. მას შემდეგ, რაც ეს ნდობა აღდგენილი იქნებოდა, პარალელურად უნდა გვეწარმოებინა უაღრესად მალული ტერორისტული მუშაობა, რის შესახებაც პარტიას არაფერი არ უნდა სცოდნოდა.

ვიშინსკი: ნება მომეცით შევეკითხო ზინოვიევსა და კამენევს. ბრალდებულო ზინოვიევ, რეინგოლდის ეს ჩვენება თქვენ მძიმე დანაშაულში გამხელთ. სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ზინოვიევი: დიახ.

ვიშინსკი: ბრალდებულ კამენევს ვაძლევ იმავე შეკითხვას.

კამენევი: გიპასუხებთ დადებითად.

რეინგოლდის შემდგომი დაკითხვის დროს ირკვევა, რომ რეინგოლდმა კამენევისა და ზინოვიევისაგან მიიღო მთელი რიგი პასუხსაგები დავალებანი, კერძოდ დავალება — შეექმნა საზღვარგარეთ სპეციალური სავალუტო ფონდი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დასაფინანსებლად იმ შემთხვევისათვის, თუ კამენევსა და ზინოვიევს საზღვარგარეთ გადაასახლებდნენ.

ვიშინსკი: ბრალდებულო კამენევ, იყო თუ არა ასეთი ლაპარაკი?

კამენევი: ეს იყო 1929 წელს. როდესაც მე და ზინოვიევი ვფიქრობდით, რომ ჩვენ შეიძლებოდა საზღვარგარეთ გადავესახლებინეთ, როგორც ტროცკი და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნდა შეგვექმნა საზღვარგარეთ ერთგვარი ფონდი იმ მუშაობის დასახმარებლად და განსაგრძობად, რომელსაც ჩვენ აქ ვეწეოდით.

ვიშინსკი: რა სახსრებით ფიქრობდით თქვენ ამ ფონდის შექმნას?

კამენევი: ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა სახსრები.

ვიშინსკი: თქვენ დახმარებისათვის რეინგოლდს მიმართეთ?

კამენევი: დახმარებისათვის კი არა, არამედ დავალებით მივმართეთ ჩვენი ორგანიზაციის წევრებს რეინგოლდსა და არკუსს შეექმნათ ეს ფონდი. რეინგოლდი და არკუსი იყვნენ ფინმუშაკები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა სოკოლნიკოვი.

ვიშინსკი: ამ ფონდის შექმნას თქვენ სახელმწიფოს ხარჯზე ფიქრობდით?

კამენევი: ყოველ შემთხვევაში არა რეინგოლდის პირადი სახსრებიდან.

ვიშინსკი: უფრო სწორად რომ ვთქვათ, თქვენ გინდოდათ გაგექურდათ სახელმწიფო.

ბრალდებული რეინგოლდი უპასუხებს ამხ. ვიშინსკის შეკითხვას, თუ როგორ იყო ტროცკისტულ-ზინოვიევურ ცენტრში დასმული საკითხი დანაშაულის კვალის დაფარვის შესახებ, და ამბობს, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ცენტრს, ვინაიდან ხელისუფლების სათავეში ჩადგებოდა, მხედველობაში ჰქონდა მოესპო სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ის მუშაკნი, რომლებსაც, მისი წარმოდგენით, შეეძლოთ ხელთ სჭეროდათ „სახელმწიფო ტერორისტული შეთქმულების" ძაფები, მოესპოთ აგრეთვე ყველა ის თავისი მომხრენი, რომელნიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი იყვნენ ტერორთან".

„ზინოვიევიცა და კამენევიც გულისხმობდნენ (ამას მე ისინი მიზიარებდნენ), აჩვენებს რეინგოლდი, — რომ ბაკაევი გადატრიალების მეორე დღეს ხელისუფლებას ხელში ჩაგდების შემდეგ, უნდა სათავეში ჩაუდგეს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აპარატზე დაყრდნობით, იგი უნდა დაგვხმარებოდა კვალის დაფარვაში, უნდა მოესპო, მოეკლა არამარტო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ის თანამშრომელნი და მუშაკნი, რომლებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ შეთქმულების რაიმე ძაფი, არამედ სტალინის წინააღმდეგ და მისი უახლოესი თანაშემწეების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ყველა უშუალო შემსრულებელნიც თავისი აქტივისტები, თავისი ტერორისტ-მებრძოლები, რომლებიც ამ საქმეში გარეული იყვნენ, ტროცკისტულ-ზინოვიევურ ორგანიზაციას უნდა მოესპო ბაკაევის ხელით".

— ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ გათვალისწინებული იყო, — განაგრძობს თავის ჩვენებას რეინგოლდი, — გამოგვეწვია საზღვარგარეთიდან ტროცკი და, ტროცკზე დაყრდნობით, პარტიულ და საბჭოთა თანამდებობიდან მოგვეშორებინა სტალინის ყველაზე ერთგული პირნი, და ამრიგად მთლიანად ჩაგვეგდო ხელთ ძალაუფლება.

რეინგოლდის განმარტებებიდან, აგრეთვე ამხ. ვიშინსკის შეკითხვებიდან ბაკაევისა და ზინოვიევის მიმართ ირკვევა ბაკაევის, როგორც იმ ტერორისტული ჯგუფების ორგანიზატორის როლი, რომლებშიაც ახდენდნენ განსაკუთრებით „საიმედო" ადამიანების შერჩევას. ასეთ „საიმედო" ადამიანებად ასახელებდნენ: ზინოვიევის ყოფილ მდივანს ბოგდანს; აქტიურ ზინოვიეველებს რადინსა და ფაივილოვიჩს და კიროვის მოკვლის საქმის გამო დახვრეტილ, ყველასათვის ცნობილ ტერორისტებს რუმიანცევს და კოტოლინოვს.

ვიშინსკი: (მიმართავს ბაკაევს): ჰქონდა თუ არა ბოგდანს რაიმე დავალება?

ბაკაევი: დიახ.

ვიშინსკი: ვისგან.

ბაკაევი: ზინოვიევისგან. ზინოვიევის დავალებით ბოგდანს უნდა ესროლა სტალინისათვის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში.

ვიშინსკი: ბრალდებულო ზინოვიევ, თქვენ გაიგონეთ ბაკაევის ჩვენება?

ზინოვიევი: მართალია ის, რომ მე ბაკაევს ვურჩიე ბოგდანის გამოყენება ხელყოფისათვის, მათ შორის სტალინის წინააღმდეგაც.

ხალხის რისხვა

რისხვით და ზიზღით მოისმინეს ტფილისის მშრომელებმა ცნობა საზიზღარი ტროცკისტულ-ზინოვიევური ბრბოს შესახებ. სურათზე: (მარცხნიდან) ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი ამხ. გეგია მოხსენებას აკეთებს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბრბოს ბოროტი გამოსვლის შესახებ. მარჯვნივ—ა.-კ. რკინიგზის დირექციის თანამშრომელთა მიტინგი.

ბრალდებული ბაკაევის დაკითხვა

რეინგოლდის შემდეგ ჩვენებას იძლევა უაქტიურესი ტერორისტი, ზინოვიევსა და კამენევთან ძალიან დაახლოვებული, — ბაკაევი. ბაკაევი—ტერორისტული აქტების უშუალო მომწყობია ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ კიროვის წინააღმდეგ და იგი, უპასუხებს რა ამხ. ვიშინსკის კითხვებზე მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ ხდებოდა ამ ბინძურ განზრახვათა მომზადება. ბაკაევი ასახელებს ტერორისტული აქტების მომზადების მონაწილეებს. ეს მონაწილენი არიან — რეინგოლდი, პიკელი, ფაივილოვიჩი, რადინი და სხვ.

ბაკაევი სასამართლოს უჩვენებს, თუ როგორ ცდილობდნენ კვალის დაფარვას ტერორისტები ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრიდან, როგორ ცდილობდნენ დაეცვათ თავისი კონსპირაცია. 1932 წლის შემოდგომაზე ზინოვიევი და კამენევი გარიცხულ იქნენ პარტიიდან. დაისვა საკითხი, როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგ. მაშინ მოხდა ბაკაევის შეხვედრა ზინოვიევთან, ევდოკიმოვთან, კუკლინთან, შაროვთან, დრეიცერთან და სხვებთან, და გადასწყდა დროებით შეჩერებულიყო ტერორისტული საქმიანობა, იგი განახლდა 1934 წლის შემოდგომაზე. ბაკაევი თავის ჩვენებაში ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდში ტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელნი შეუდგნენ ტერორისტული აქტების მომზადების განსაკუთრებით დაჩქარებას, პირველ რიგში, სტალინის წინააღმდეგ ხელყოფის დაჩქარებას. იმ დროისვე კამენევმა დაავალა ბაკაევს გამგზავრებულიყო ლენინგრადში, შეემოწმებინა, თუ როგორ მიდის ტერორისტული აქტის მზადება ამხ. კიროვის წინააღმდეგ.

ლენინგრადში გამგზავრებისას ბაკაევი ტერორისტული ცენტრის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ რუმიანცევი, კოტოლინოვი, ლევინი, მანდელშტამი და სხვები, გაეცნო ტერორისტ ნიკოლაევს რომელსაც უშუალოდ უნდა შეესრულებინა ტერორისტული აქტი კიროვის წინააღმდეგ. როგორც ბაკაევი აცხადებს, ნიკოლაევმა მასზე მოახდინა გაბედული და დაჯერებული ტერორისტის შთაბეჭდილება. ისინი შეთანხმდნენ, რომ ტერორისტები კიროვს ესვრიან მოსკოვიდან სიგნალის მიღების შემდეგ. ეს სიგნალი უნდა მიეცა ბაკაევს ან გერტიკს ბაკაევის სახელით.

ბაკაევი ჩვენების მიცემის დროს ცდილობს შეამსუბუქოს თავისი დანაშაული. იგი ამბობს, რომ ტერორისტული ცენტრის მთელი საქმიანობიდან მან იცოდა მხოლოდ სტალინისა და კიროვის მოკვლის გადაწყვეტილება, ხოლო სხვა განზრახული ტერორისტული აქტების შესახებ მან მხოლოდ საბრალდებულო დასკვნიდან გაიგო, რომ იგი ამხ. ს. მ. კიროვის ავაზაკური მკვლელობის მზადებაში მხოლოდ „თანაორგანიზატორი" იყო.

ვიშინსკი: თქვენ მარტო არ იყავით, ევდოკიმოვი იყო თქვენთან. ბრალდებულო ზინოვიევ, თქვენც იყავით ამხ. კიროვის მკვლელობის ორგანიზატორი?

ზინოვიევი: ჩემის აზრით, ბაკაევი მართალია, როდესაც ამბობს, რომ კიროვის ავაზაკური მკვლელობის ნამდვილი და მთავარი დამნაშავენი პირველ რიგში ვართ მე—ზინოვიევი, ტროცკი და კამენევი, რომლებმაც გაერთიანებული ტერორისტული ცენტრი მოვაწყეთ. ბაკაევი ამაში თამაშობდა დიდს, მაგრამ სრულიადაც არაგადამწყვეტ როლს.

ვიშინსკი: გადამწყვეტი როლი გეკუთვნოდათ თქვენ, ტროცკისა და კამენევს. ბრალდებულო კამენევ, ეთანხმებით თუ არა ზინოვიევის განცხადებას, რომ მთავარი ორგანიზატორები იყავით თქვენ, ტროცკი და ზინოვიევი, ხოლო ბაკაევი თამაშობდა პრაქტიკული ორგანიზატორის როლს, მაგრამ იგი თქვენთან სოლიდარული იყო?

კამენევი: დიახ.

ბრალდებული პიკელის დაკითხვა

უზენაესი სასამართლო გადადის ბრალდებული პიკელის დაკითხვაზე. პიკელი-ზინოვიევის ერთერთი უაღრესად სანდო პირია, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში განაგებდა მის, სამდივნოს. პიკელი აღიარებს, რომ, იგი როგორც მოსკოვის ტერორისტული ცენტრის აქტიური წევრი, გაერთიანებული ცენტრის ყველა ძირითადი გადაწყვეტილებისა და ტერორისტული ლოზუნგების კურსში იყო 1932 წლის შემოდგომას პიკელი შევიდა მებრძოლი ტერორისტული ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომლის ხელმძღვანელი იყო ბაკაევი, და თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიეღო ამხ. სტალინის წინააღმდეგ ხელყოფაში. პიკელი ადასტურებს რეინგოლდისა და ბაკაევის ჩვენებებს: მე ბოგდანის სიტყვით ვიცი, რომ ზინოვიევი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ხელყოფის მომზადებას.

პიკელი ბაკაევის ჩვენებას ავსებს და აღიარებს, რომ 1933 წლის შემოდგომაზე ბოგდანი ხელახლა შეეცადა ამხ. სტალინის წინააღმდეგ ხელყოფას. ამასთან დაკავშირებით, ბაკაევი ასურათებს იმ საზიზღარ ატმოსფეროს, რომელიც არსებობდა ტერორისტულ ცენტრში რომლის წევრები პრაქტიკულად სწყვეტდნენ ტერორისტულ დანაშაულთა კვალის დაფარვის ამოცანას. პიკელი აღიარებს, რომ ბოგდანის თვითმკვლელობა არსებითად წარმოადგენს მკვლელობას ტერორისტული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით იმისათვის, რომ ბოგდანმა 1933 წლის შემოდგომაზე ვერ შეასრულა ტერორისტული აქტი ამხ. სტალინის წინააღმდეგ. ამ დანაშაულში განსაკუთრებულ აქტიურ როლს თამაშობდა ბაკაევი. ბაკაევმა ბოგდანთან გაატარა მთელი წინა ღამე ბოგდანის თვითმკვლელობამდე. მათ შორის საუბარი იმაში მდგომარეობდა, რომ ბაკაევი არწმუნებდა ბოგდანს, ან განეხორციელებინა ხელყოფა ამხ. სტალინის წინააღმდეგ, ან თავი მოეკლა. ბოგდანმა თავი მოიკლა, ამასთან, როგორც მას წინადადება ჰქონდა მიცემული, დასტოვა ბარათი, რომელშიაც იგი თავს იმ პარტიული წმენდის მსხვერპლად ხატავდა, რომელიც მაშინ ხდებოდა.

შემდეგ პიკელი ლაპარაკობს ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაზე 1934 წელს. აქ პიკელის მონაწილეობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ბაკაევი დაუკავშირა რადინს, რომელიც პიკელმა მოამზადა ამ ტერორისტული აქტის შესასრულებლად. კვალის დაფარვის მიზნით 1934 წელს პიკელი მივლინებაში გაემგზავრა შპიცბერგენში. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი შეხვდა დრეიცერს და განაახლა თავისი ტერორისტული საქმიანობა. დრეიცერმა აცნობა მას, რომ მზადდება კაგანოვიჩის, ვოროშილოვისა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა მოკვლა.

პიკელის დაკითხვით თავდება უზენაესი სასამართლოს 19 აგვისტოს საღამოს სხდომა.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

პროპაგანდისტის დასახმარებლად

ტროცკისტთა და ზინოვიეველთა გზა—ღალატისა და გამცემლობის გზაა

I.

ათნახევარი წლის წინათ, XIV პარტიულ ყრილობაზე ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გამოვიდა ეგრეთწოდებული ახალი ოპოზიცია ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით. იგი გამოვიდა კაპიტულანტური პლატფორმით — აცხადებდა, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. იგი მოითხოვდა, ხელი აგველო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაზე და არსებითად ცდილობდა სსრ კავშირის გადაქცევას უცხოეთის კაპიტალის კოლონიად.

ყრილობამ გადაჭრით უკუაგდო ახალი ოპოზიციის რენეგატული პლატფორმა, ვინაიდან იგი არსებითად მოასწავებდა მუშათა კლასის გამცემლობას, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების დათმობას. სხვანაირად არც შეიძლებოდა! განა გამცემლების მშიშრებისა და კაპიტულანტების პლატფორმამ შეიძლო მიეღო ბოლშევიკთა, ლენინის მოწაფეთა ყრილობას? მაგრამ, ეს პლატფორმა სავსებით ბუნებრივი იყო ზინოვიევისა და კამენევისათვის, რომლებიც უკვე წინათ გამოდიოდნენ როგორც ოქტომბრის რევოლუციის შტრეიკბრეხერები; ისინი ოქტომბრის გამარჯვების მეორე დღეს მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჩაბარებას მენშევიკებისა და ესერებისათვის და თავის წარსულში როგორც ოქტომბრამდე, ისე ოქტომბრის შემდეგ აქვთ განდგომის, გამცემლობის, სიმხდალის მრავალრიცხოვანი ფაქტები.

რა ქნეს ზინოვიევმა და კამენევმა XIV ყრილობის შემდეგ? მათ ბლოკი შეჰკრეს მენშევიკ ტროცკისტთან და შლიაპნიკოვისა და მედვედევის მენშევიკურ „მუშათა ოპოზიციასთან" ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და მისი ბელადის ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი ყველაზე უფრო თავხედური დემაგოგიის შემწეობით იმით, რომ თავისი პლატფორმის კაპიტულანტურ, თავიდან ბოლომდე მენშევიკურ ბუნებას მემარცხენე ფრაზებით ფარავდა, ცდილობდა გაეყოლებინა ჩვენი პარტიის რიგითი წევრები, მოეტყუებინა პარტია, მოტყუების გზით სათავეში ჩასდგომოდა ხელმძღვანელობას, რათა ოქტომბრის რევოლუციის პოზიციები ჩაებარებინა მისი უბოროტესი მტრებისათვის ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, — ასეთი იყო მენშევიკ ტროცკისა და ოქტომბრის შტრეიკბრეხერთა—კამენევისა და ზინოვიევის ნამდვილი მიზანი. ეს მათ ვერ შესძლეს. არავინ გაჰყვა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკს, გარდა ერთი მუჭა გადაგვარებული და გახრწნილი ბიუროკრატებისა, რომლებმაც ყოველნაირი კავშირი დაკარგეს მასასთან, გარდა ერთი მუჭა გაბოროტებული მეშჩანებისა, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდათ მუშათა კლასთან.

პარტიამ განდევნა გამცემლები, მხდალები და წავიდა თავის პირდაპირი გზით. 1927 წლის დამლევს ზინოვიეველები და ტროცკისტები, რომლებიც უკვე მაშინ ჩამოქვეითდნენ პირდაპირ თეთრგვარდიელებთან კავშირამდე, ქუჩებში ანტისაბჭოთა დემონსტრაციების მოწყობამდე, განდევნილ იქნენ ბოლშევიკური პარტიიდან.

II.

პარტიამ უკუაგდო ზინოვიეველთა და ტროცკისტთა რენეგატული, მენშევიკური პროგრამა. პარტიამ გააძევა ისინი თავის წრიდან. მერე რა! მათ გადასწყვიტეს ბრძოლის მეთოდების შეცვლა. მოტყუების გზით დაბრუნებულიყვნენ პარტიაში და შიგნით ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი, გამხრწნელი მუშაობა, დაეცადნათ ხელსაყრელი მომენტისათვის, რომ აშკარად გამოსულიყვნენ. იქნებ სიძნელეებმა გვიშველოსო. კულაკი, მავნებელი, თეთრგვარდიელი, შეიძლება საგარეო ომიც კი — ასეთი იყო მათი კოზირი. სწორედ ამ კოზირის იმედით ზინოვიევური ოპოზიციის ბირთვი (ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, კუკლინი და სხვები) და ტროცკისტთა საგრძნობი ნაწილი (ი. ნ. სმირნოვი, მრაჩკოვსკი და მრავალი სხვა) გამცემლური გზით წავიდნენ... აღვიაროთ ქაღალდზე ჩვენი შეცდომები, აღვიაროთ ქაღალდზე პარტიის სიმართლე, დავბრუნდეთ მის რიგებში და პარტიული ბილეთის ამოფარებით შიგნიდან ავაფეთქოთ პარტიაო.

ერთ დროს, 1930-31 წელს, ზოგ მიამიტ ადამიანს ჩვენს პარტიაში უკვე ეგონა, რომ ტროცკისტებსა და ზინოვიეველებთან ბრძოლა განვლილი ეტაპია პარტიის ცხოვრებაში, გუშინდელი დღეა, რომელსაც მხოლოდ ისტორიკოსებისათვის აქვს მნიშვნელობა. ასეთი განწყობილების შედეგად მივიღეთ ბოლშევიკური სიფხიზლის უდიდესი შესუსტება ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მრავალ უბანზე, რამაც ტროცკისტ და ზინოვიეველ თვალთმაქცებს საშუალება მისცა მეტად ფართოდ გაეპარებინათ კონტრრევოლუციური კონტრაბანდა ჩვენს ჟურნალებსა და წიგნებში. საქმე ხომ იქამდე მივიდა, რომ ისტპარტის ორგანოებსა და სხვა არანაკლებ პასუხსაგებ გამოცემებში ეს ტროცკისტული პროპაგანდა თითქმის ყოველდღიური მოვლენა გახდა.

საჭირო შეიქმნა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის ჩარევა, საჭირო გახდა მისი ისტორიული წერილი ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციას" რედაქციისადმი, რომ გონს მოსულიყო ზოგი ნამეტნავად მიმნდობი და უდარდელი ადამიანი. რათა მათ შეეგნოთ, რომ ტროცკიზმი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ავანგარდს წარმოადგენს, რომ ტროცკიზმის მიმართ დამპალი ლიბერალიზმი დანაშაული და გამცემლობაა, რომ მთელი პარტიისათვის ნათელი გამხდარიყო მტრის ბრძოლის ახალი ფორმები.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის გამოსვლას 1931 წლის შემოდგომას, როდესაც იგი დაეხმარა პარტიას მის რიგებში შემძვრალ უბოროტეს და უსაძაგლეს მტრებთან, შხამიან საზიზღარ გველებთან ბრძოლაში. მტრებს შორის მრავალს, რომლებიც განსაკუთრებით გათავხედდნენ, როგორც იტყვიან, ფეხები მაგიდაზე დაალაგეს, — მაშინ დანაშაულზე წაასწრეს და ამნაირებმა პარტიული ბილეთები დაჰკარგეს.

III.

რა იყო დამახასიათებელი იმ პერიოდში ზინოვიევისა და კამენევისათვის, მათ უახლოეს თანამოზიარეთა და ტროცკისტთა ძალიან საგრძნობი ჯგუფისათვის, რომლებიც მოტყუების გზით გაძვრნენ პარტიაში? ისინი ცდილობენ შეიჭრან იდეოლოგიური ფრონტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უბნებში — გაზეთების, ჟურნალების რედაქციებში, ინსტიტუტებში, სასწავლებლებში. ზინოვიევისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მისწრაფება რაც შეიძლება ხშირად სწეროს და გამოვიდეს. ანაწილებენ ძალებს, ახდენენ ძველი კავშირების აღდგენას, ამყარებენ ახალ კავშირებს.

ბოლშევიზმის საერთაშორისო როლზე, რევოლუციის გადაზრდაზე და სხვ. ტროცკისტულ შეხედულებათა გაპარების გარდა, კონტრაბანდის ჩვეულებრივი სახე იყო წარსულში ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის როლის ყოველგვარი პოპულარიზაცია და იმავე დროს ლენინისა და სტალინის როლის ყოველგვარი დაკნინება.

ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის" რედაქციისადმი ამხანაგ სტალინის წერილის შემდეგ ამას უფრო ფრთხილად აკეთებდნენ, მაგრამ მაინც ხანდახან აკეთებდნენ (საკმარისია გავიხსენოთ ზინოვიევის ცდა უკვე 1934 წლის აგვისტოს დაემტკიცებინა, თითქოს ლენინს არაფერი დაემატებინოს ომზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებებისათვის).

კულისებში არც ერთ წუთს არ შეწყვეტილა ძალთა ორგანიზაცია პარტიის წინააღმდეგ. ითვალისწინებდნენ ათასგვარ მოკავშირეებს, XV ყრილობის რამდენიმე თვის შემდეგ, კამენევი, რომელიც ჯერ კიდევ პარტიაში აღდგენილი არ იყო, შეუდგა მოლაპარაკებას ბუხარინის სახით მემარჯვენე ოპოზიციასთან, რომელიც ისის იყო ჩამოყალიბდა. ურთიერთობა ტროცკისტებთან არც ერთ დღეს არ შეწყვეტილა, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ფორმალურად კავშირი გასწყვიტეს. კავშირი არ გაწყვეტილა შაცკინ-ლომინაძე-სტენის თვალთმაქცურ მომემარცხენო ჯგუფებთანაც, პარტიაში ტროცკის აგენტურის ერთერთ უსაძაგლეს სახეობასთან.

ყველაფერი მზადდებოდა მომავალი გამოსვლისათვის პარტიის წინააღმდეგ. როდის მოხდება ეს გამოსვლა? საძაგელი მტერი იმედს ამყარებდა პარტიის დამარცხებაზე, სოციალისტური ქვეყნის დამარცხებაზე. 1930, 1931, 1932 წლებში — ძირითადი იმედი კოლექტივიზაციის დამარცხება იყო. იქნებ კულაკმა აიძულოს უკან დაიხიოს პარტიამ! იქნებ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაიშალონ. იქნებ სასურსათო სიძნელეებმა დააბრკოლონ პირველი ხუთწლედის პროგრამის შესრულება, ჩაშალონ ახალი ქარხნების მშენებლობა! იქნებ საბჭოთა მანეთი აფეთქდეს! იქნებ შიმშილობის გაძვალტყავებული ხელი, რაზედაც 1917 წელს მექარხნე რიაბუშინსკი ოცნებობდა, ყელში წასწვდეს მუშათა კლასს! იქნებ დაჰყვეს საგარეო მტერი და ჩვენი პარტია დაამარცხოს! აი რაზე ოცნებობდნენ ზინოვიეველები და ტროცკისტები.

აღებული გეზი კოლექტივიზაციის მარცხზე ზინოვიევისა და კამენევის ჯგუფს განსაკუთრებით მჭიდროდ აკავშირებს რიუტინის ტიპისა და სლეპკოვის სკოლის მემარჯვენე თვალთმაქცებთან და ლომინაძე-სტენის ტიპის მემარჯვენე-მომემარცხენე მახინჯებთან. ზინოვიევი და კამენევი, რომლების ახალი ანტიპარტიული კავშირები გამოაშკარავებულ იქნა 1932 წელს, კვლავ გარიცხულ იქნენ პარტიიდან.

ამავე დროს კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის მარცხზე იმედების დამყარების უნიადაგობა სავსებით ცხადი ხდება მტრებისათვისაც კი.

ჩვენი ქვეყანა მიდის წინ სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. მთავრდება პირველი ხუთწლედის პროგრამის შესრულება. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ამას არც ჩვენი ქვეყნის შიგნით, არც მის გარეთ...

IV.

რა დარჩენიათ პარტიის საზიზღარ მტრებს, რომლებსაც ჩაეშალათ კულაკსა და მავნებელზე აღებული გეზი? ისინი პოულობენ ახალ გამოსავალს: ადგებიან ტერორის მოწყობის გზას.

რიუტინ-სლეპკოვის ჯგუფს 1932 წელს პლატფორმა მაინც გააჩნდა. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ დაეშალათ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, ხოლო ინდუსტრიალიზაციის გიგანტები უცხოეთის კაპიტალისტებისათვის დაერიგებინათ საკონცესიოდ. ჩვენს ქვეყანაში მაშინ ჯერ კიდევ პური საკმაო არ იყო. მთელი რიგი ოლქები ცუდად ახორციელებდნენ კოლექტივიზაციას. ძირითად პროდუქტებზე ბარათები გვქონდა. მაგრამ ამ პირობებშიაც რომელ მუშას და კოლმეურნეს შეეძლო გაჰყოლოდა იმ კონტრრევოლუციურ „პროგრამას", რომელსაც სტენი ზინოვიევს უთანხმებდა?

გავიდა 1933 წელი. ჩვენი საბჭოთა კავშირის მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა მხარეებმა, ოლქებმა და რესპუბლიკებმა ძირითადად დასძლიეს სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენა. გავიდა 1934 წელი. კოლმეურნეობანი არა თუ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ, არამედ მათ გლეხობის უდიდესი უმრავლესობა მოიცვეს. მოხდა ბარათების გაუქმება. მრეწველობამ უდიდესი ნახტომი გააკეთა წინ. ჩვენ უშუალოდ დავუახლოვდით სტახანოვურ 1935 წელს.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

20 აგვისტოს დილის სხდომა

ბრალდებული კამენევის დაკითხვა

20 აგვისტოს დილის სხდომა იწყება ბრალდებული ლ. ბ. კამენევის დაკითხვით.

„ტერორისტული შეთქმულება,— აჩვენებს კამენევი, — მოვაწყეთ და მას ვხელმძღვანელობდით მე, ზინოვიევი და ტროცკი. მე იმ რწმენამდე მივედი, რომ პარტიის პოლიტიკამ, მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკამ გაიმარჯვა იმ ერთადერთი გაგებით, რომლითაც პოლიტიკური გამარჯვება შესაძლებელია სოციალიზმის ქვეყანაში, რომ ეს პოლიტიკა დაადასტურეს მშრომელმა მასებმა. ჩვენი გეზი პარტიულ ხელმძღვანელობაში განხეთქილების შესაძლებლობაზე მარცხით დამთავრდა. ჩვენ იმედს ვამყარებდით რიკოვის, ბუხარინის, ტომსკის მემარჯვენე ჯგუფზე. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობიდან მოშორებამ და მშრომელთა წინაშე მისმა დისკრედიტაციამ ჩვენ ხელიდან გამოგვაცალა ეს კოზირიც. ზედმეტი იყო იმედის დამყარება რაიმე სერიოზულ საშინაო სიძნელეებზე იმ ხელმძღვანელობის დასამხობად, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გამოატარა ყველა უძნელესი ეტაპი, ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. დარჩა ორი გზა: ან პატიოსნად და სრულიად უნდა მოგვესპო ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, ან განგვეგრძო იგი, მაგრამ უკვე არავითარი იმედი არ უნდა გვქონოდა რაიმე მასობრივ დახმარებაზე, უნდა გვებრძოლნა პოლიტიკური პლატფორმის გარეშე, უდროშოდ. ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობდით უსაზღვრო გაბოროტებით პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და იმ ძალაუფლების წყურვილით, რომელთანაც ოდესღაც ჩვენ ახლოს ვიდექით და რომლისაგან უკუგდებულ ვიქენით ისტორიული განვითარების მსვლელობით".

ბრალდებული კამენევი უპასუხებს ამხ. ვიშინსკის შეკითხვებს და სასამართლოს მოუთხრობს, თუ როგორ შეკრეს ბლოკი ზინოვიეველებმა ტროცკისტებთან პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ტერორისტული ბრძოლის მოსაწყობად.

„ჩვენ ბლოკის შესახებ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით სმირნოვთან, მრაჩკოვსკისთან, ტერ-ვაგანიანთან არა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური დირექტივების შემოქმედებთან. ისინი ჩვენთვის წარმოადგენდნენ ღირებულებას, როგორც ისეთი ადამიანები, რომლებიც ზუსტად გადმოგვცემდნენ ტროცკის დირექტივას. ვიცნობდით რა სმირნოვს და მრაჩკოვსკის, როგორც აქტიურ ტროცკისტებს, ვიცოდით რა სმირნოვის საზღვარგარეთ გამგზავრების ამბავი და ის, რომ იგი იქ დაუკავშირდა ტროცკის, ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავით, რომ დირექტივა ტერორისტული გზის შესახებ, რომლებიც სმირნოვმა და მრაჩკოვსკიმ გადმოგვცეს და რომელსაც ისინი იცავდნენ, არის ტროცკის ზუსტი დირექტივა. ამის საფუძველზე და იმას გამო, რომ ტროცკის დირექტივები ტერორის შესახებ შეეხამა ჩვენს განწყობილებებს, ჩვენ შევკარით ის, რასაც აქ „ბლოკს" უწოდებენ და რასაც ვიწრო ტერორისტული შეთქმულება უნდა ეწოდოს. ეს შეთქმულება მოეწყო 1932 წელს, როგორც ორგანიზაციული გაერთიანება, რომელსაც არავითარი პლატფორმა არ ჰქონია და რომელმაც მიზნად დაისახა ხელთ ეგდო ძალაუფლება მთავრობის ტერორისტული დეზორგანიზაციის გზით, სტალინის, როგორც პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელის, და მისი უახლოესი თანამებრძოლების მოკვლისა და თავიდან მოშორების გზით".

ბრალდებული კამენევი სავსებით ადასტურებს ი. ნ. სმირნოვის ხელმძღვანელ როლს ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის ტროცკისტულ ნაწილში.

შემდეგ კამენევი მოუთხრობს სასამართლოს ტერორისტთა პრაქტიკულ საქმიანობას.

„1932 წლის ზაფხულს ილინსკოეში, ჩვენს აგარაკზე, გაიმართა ჩვენი ზინოვიევური ცენტრის თათბირი. დავესწარით მე, ზინოვიევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, კუკლინი, კარევი. ამ თათბირზე ზინოვიევმა განაცხადა: გაერთიანება ტროცკისტებთან, რომლებმაც მიიღეს ტროცკის პირადი დირექტივა ტერორისტული აქტების გატარების შესახებ, —მომხდარი ფაქტია. იქვე ბაკაევს დაევალა მოახდინოს ტერორისტული აქტი მოსკოვში, ხოლო კარევს —ლენინგრადში. ჩემი და ზინოვიევის გადასახლებამ რამდენადმე შეაფერხა ჩვენი ტერორისტული გეგმების განხორციელება. როცა მოსკოვში დავბრუნდით, ჩვენ არაფერი არ გადაგვისინჯავს ბლოკის საფუძვლებში. პირიქით, შევუდექით ტერორისტული შეთქმულების დაჩქარებას. ტერორის დაჩქარებას ენერგიულად მოითხოვდნენ ტროცკისტები, რომლებმაც ტროცკის სათანადო დირექტივა მიიღეს. ორგანიზაციულად ეს იმაში გამოიხატა, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაჩქარებულიყო სტალინის მოკვლა და კიროვის მოკვლა".

1934 წლის ივნისში, აჩვენებს ბრალდებული კამენევი, — მე პირადად გავემგზავრე ლენინგრადში, სადაც დავავალე აქტიურ ზინოვიეველს იაკოვლევს, ნიკოლაევ—კოტოლინოვის ჯგუფის პარალელურად მოემზადებინა კიროვზე თავდასხმა. 1934 წლის ნოემბრის დამდეგს მე ბაკაევის მოხსენებიდან ვიცოდი ნიკოლაევის ჯგუფის მიერ კიროვის მკვლელობის მომზადების ყველა დეტალი".

ვიშინსკი: კიროვის მკვლელობა ეს უშუალოდ თქვენი საქმეა?

კამენევი: დიახ.

„ვიცოდით რა, რომ ჩვენ შეიძლება ჩავვარდეთ, — ამბობს შემდეგ კამენევი, — ჩვენ შევადგინეთ ვიწრო ჯგუფი, რომელსაც უნდა განეგრძო ტერორისტული მუშაობა. ამ მიზნისათვის ჩვენ დავსახეთ სოკოლნიკოვი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტროცკისტთა მხრივ ამ როლის შესრულებას წარმატებით შესძლებდნენ სერებრიაკოვი და რადეკი. ჩვენს სათანადო შეკითხვაზე მრაჩკოვსკიმ გვიპასუხა: — კი, სერებრიაკოვი და რადეკი, ჩვენის აზრით, შესძლებენ შემცვლელთა როლის შესრულებას, თუ ჩვენი ხელმძღვანელი ჯგუფი, მოლოდინის წინააღმდეგ, ჩავარდება".

კამენევი ამბობს, რომ ზინოვიეველები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, ამყარებდნენ კონტაქტს სხვა კონტრრევოლუციურ ჯგუფებთანაც.

— 1932 წელს მე პირადად ვაწარმოებდი მოლაპარაკებას ეგრეთ წოდებულ „მემარცხენეთა" ჯგუფთან, ლომინაძე — შაცკინის ჯგუფთან. ამ ჯგუფში მე ვნახე პარტიული ხელმძღვანელობის მტრები, აბსოლუტურად მომზადებულნი იმისათვის, რომ გადასულიყვნენ მასთან ბრძოლის უაღრესად გადამწყვეტ მეთოდებზე. ამავე დროს მე და ზინოვიევს მუდმივი კავშირი გვქონდა ყოფილი „მუშათა ოპოზიციის" შლიაპნიკოვისა და მედვედევის ჯგუფთან.

1932-33-34 წლებში მე პირადი ურთიერთობა მქონდა ტომსკისა და ბუხარინთან და ვეცნობოდი მათს პოლიტიკურ განწყობილებას. ისინი ჩვენ თანაგვიგრძნობდნენ. როდესაც მე ტომსკის შევეკითხე, თუ რა სულიერი განწყობილება აქვს რიკოვს, მიპასუხა: „რიკოვი იმასვე ფიქრობს, რასაც მეო". კითხვაზე, თუ რაღას ფიქრობს ბუხარინი, მიპასუხა: „ბუხარინი იმასვე ფიქრობს, რასაც მე, მაგრამ იგი ცოტა სხვა ტაქტიკას ატარებს. არ ეთანხმება რა პარტიის ხაზს, იგი ადგია იმ ტაქტიკას, რომ პარტიაში მაგრად მოიკიდოს ფეხი და ხელმძღვანელებთან მოიპოვოს პირადი ნდობა".

ბრალდებული კამენევის დაკითხვის დროს სასამართლო დაწვრილებით შეჩერდა იმ თვალთმაქცობაზე, რომელიც შეთქმულებმა ტერორთან ერთად აამუშავეს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაკითხვის შემდგომს მსვლელობაში ბრალდებული კამენევი კიდევ უფრო ნათლად და გარკვევით ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ამოძრავებდათ ზინოვიეველებს.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენი ბრძოლის პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საფუძვლად იდო პირადი, სულმდაბლური ხასიათის მოტივები — პირადი ძალაუფლების წყურვილი?

კამენევი: დიახ, ჩვენი ჯგუფის ძალაუფლების წყურვილი.

ბრალდებული კამენევის დაკითხვის დასასრულს ამხ. ვიშინსკი მოაგონებს მას, რომ მან 10 აგვისტოს თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ დაენიშნათ ბაკაევი გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელად და წაეშალათ თავიანთი ბოროტმოქმედების კვალი.

კამენევი ცდილობს დაარწმუნოს სასამართლო, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ცენტრს ამ დროს მხედველობაში ჰქონდა ტერორისტული აქტების უშუალო შემსრულებელთა არა ფიზიკური მოსპობა, არამედ გვსურდა ყალბი გზით წარმართულიყო გამოძიება ტერორისტული აქტების საქმის გამო.

ბრალდებული რეინგოლდი კატეგორიულად ადასტურებს, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ცენტრს განზრახვა ჰქონდა მოესპო თავისი მებრძოლ-ტერორისტები იმისათვის, რომ უცნობელიყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციის მეთაურები და წაეშალა ბოროტმოქმედების კვალი. რეინგოლდი, რომელიც აღაშფოთა კამენევის მიკიბულ-მოკიბულმა ლაპარაკმა, ამ საკითხზე, ამბობს:

— კამენევი თავს ნუ იკატუნებს და უმანკო ქმნილებად ნუ გვეჩვენება. იგი დაოსტატებული პოლიტიკოსია, რომელიც გვამების მთებზე გადავლით დაეპატრონებოდა ძალაუფლებას. და ნუთუ იგი მოერიდებოდა, რომ მოესპო ერთი-ორი ტერორისტი? ამას კამენევს არავინ დაუჯერებს!

მოწმე იაკოვლევის დაკითხვა

სასამართლო გადადის პროკურატურის შუამდგომლობით გამოწვეული მოწმის იაკოვლევის დაკითხვაზე.

ამხ. ვიშინსკი სთხოვს იაკოვლევს უამბოს სასამართლოს, თუ რა კავშირი ჰქონდა კამენევს მასთან — იაკოვლევთან იმ ტერორისტულ საქმიანობაში, რომელსაც კამენევი ეწეოდა.

იაკოვლევი აჩვენებს: „პირადად მე 1934 წელს კამენევმა დამავალა მომეწყო ტერორისტული ჯგუფი მეცნიერებათა აკადემიაში. ეს დავალება ვიკისრე. მაშინვე კამენევმა მაცნობა, რომ დავალებანი ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ სხვა ჯგუფებსაც მიეცათ. მოსკოვში სწარმოებს მუშაობა სტალინზე ხელყოფის მოსაწყობად, ხოლო ლენინგრადში განზრახულია ტერორისტული აქტის მოწყობა კიროვის წინააღმდეგ და რომ ეს დავალება რუმიანცევ-კოტოლინოვის ჯგუფს მიეცაო".

ტერ-ვაგანიანმა და სმირნოვმა კამენევს მისცეს რამდენიმე კითხვა. საიდანაც ირკვევა, რომ კამენევს 1932 წელს არაერთხელ ჰქონია ლაპარაკი ტერ-ვაგანიანთან ტერორის შესახებ, რის შემდეგ სასამართლო გადადის ბრალდებული ზინოვიევის დაკითხვაზე.

ბრალდებული ზინოვიევის დაკითხვა

თავის ჩვენებას ზინოვიევი იწყებს 1932 წელს ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ცენტრის აღდგების ისტორიიდან. ზინოვიევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს შორის არსებითად არასოდეს არ ყოფილა აზრთა რაიმე სხვადასხვაობა.

1928 წლიდან 1932 წლამდე — ამბობს ზინოვიევი,—არცერთ წუთს არ ყოფილა ნამდვილი განსხვავება ჩვენსა და ტროცკისტებს შორის. და ამიტომ ჩვენ სავსებით კანონზომიერად მივიღეთ ტერორიზმი.

„ჩვენ აღებული გვქონდა გეზი სიძნელეების ზრდაზე, გვქონდა იმის იმედი, რომ ეს სიძნელეები იმდენად გაიზრდება, როცა ჩვენ, მემარჯვენეებიც, ტროცკისტებიც და მათი მომხრე უფრო წვრილი ჯგუფებიც შესძლებენ აშკარად გამოსვლას".

„ამავე დროს, — განაგრძობს ზინოვიევი — როგორც მემარჯვენე, ისე ეგრეთწოდებული „მემარცხენე" მიმართულების ცალკეული არალეგალური ჯგუფები იყვნენ კავშირს ჩემთან და კამენევთან. მოგვმართავდნენ შლიაპნიკოვ-მედვედევის მუშათა ოპოზიციის ნაშთები. მოგვმართავდნენ ეგრეთწოდებულ „მოჩემარცხენეთა" ჯგუფები. ესენი იყვნენ ლომინაძე, შაცკინი, სტენი და სხვები. მოგვმართავდნენ აგრეთვე ეგრეთწოდებული „ინდივიდუალისტები". მათ რიცხვს ეკუთვნოდა სმილგა და რამდენადმე სოკოლნიკოვიც".

„1932 წლის მეორე ნახევარში,— ამბობს ზინოვიევი, — ჩვენ მივხვდით, რომ ქვეყანაში სიძნელეთა ზრდაზე აღებული გეზი დამარცხდა. ჩვენ დავიწყეთ იმის შეგნება, რომ პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი გადალახავენ ამ სიძნელეებს. მაგრამ 1932 წლის პირველ ნახევარშიც და მეორე ნახევარშიც ჩვენ აღგზნებული ვიყავით სიძულვილით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სტალინისადმი".

„ჩვენ, — ამბობს ზინოვიევი, — დარწმუნებული ვიყავით, რომ ხელმძღვანელობა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შეცვლილიყო, რომ იგი უნდა შეგვეცვალა ჩვენ ტროცკისტებთან ერთად. ამ პირობებში ხდება ჩემი შეხვედრა სმირნოვთან".

განაგრძობს რა თავის ჩვენებას, ზინოვიევი ამბობს, რომ 1931 წელს სმირნოვთან ლაპარაკის დროს მას მოლაპარაკება ჰქონდა ტროცკისტთა და ზინოვიეველთა გაერთიანების შესახებ ტერორის ბაზაზე. და ეს ხდებოდა ტროცკის დირექტივით. ი. ნ. სმირნოვი, — ამბობს ზინოვიევი, — მთლიანად და სავსებით იზიარებდა ამ დირექტივას და მხურვალედ და დაბეჯითებით ატარებდა მას. ჩვენ სმირნოვთან ერთად ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით ტერორისტული მოქმედებისათვის საჭირო ადამიანების შერჩევაზე, აგრეთვე ვასახელებდით იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართული უნდა ყოფილიყო ტერორისტული იარაღი. პირველ რიგში ვასახელებდით სტალინს, შემდეგ კიროვს, ვოროშილოვს და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. ამ გეგმების განსახორციელებლად შეიქმნა ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრი, რომელშიაც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ზინოვიევი და ტროცკისტების მხრივ - სმირნოვი.

ვიშინსკი: წარმოადგენდა თუ არა ტერორის აუცილებლობის აღიარება ტროცკისტთა და ზინოვიეველთა გაერთიანების გადამწყვეტ პირობას?

ზინოვიევი: სწორია.

ვიშინსკი: დაასახელეთ თუ არა თქვენ და სმირნოვმა ის პირები, რომელთა წინააღმდეგაც პირველ რიგში უნდა ყოფილიყო მიმართული ტერორი? მართალია თუ არა, რომ ეს პირები იყვნენ ამხანაგი სტალინი, ამხანაგი კიროვი, ამხანაგი ვოროშილოვი?

ზინოვიევი: ეს საკითხი ცენტრში იყო მოქცეული.

თავის შემდგომ ჩვენებაში, უპასუხებს რა ამხ. ვიშინსკის შეკითხვაზე, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მკვლელობის მოსამზადებლად პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ, ზინოვიევი მოუთხრობს, რომ 1932 წლის შემოდგომაზე ილინსკოეში გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, კარევი. ამ თათბირზე ტერორისტული საქმეების პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა დაევალა ბაკაევს.

„როცა რიუტინის საქმის ჩაშლის შემდეგ მე და კამენევი გადასახლებაში გავემგზავრეთ, — განაგრძობს ზინოვიევი, — ჩვენ ტერორისტული მუშაობის ხელმძღვანელობად დავტოვეთ ევდოკიმოვი, ბაკაევი და სმირნოვი. ამასთან განსაკუთრებულ იმედს სმირნოვზე ვამყარებდით. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი პირველი ნაბიჯები მიმართული იყო იქით, რომ მოგვეხერხებინა, თუ ასე შეიძლება ითქვას, ჩვენი ტერორისტული გარღვევის, შეთქმულთა მარცხის, ლიკვიდაცია, აღგვედგინა ჩვენდამი ნდობა, რათა შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო ტერორისტული საქმიანობის განგრძობა. ჩვენ განვაგრძობდით ტაქტიკას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ სულ უფრო და უფრო დახვეწილ მუხანათურ თვალთმაქცობას ვახამებდით შეთქმულების მომზადებასთან".

— საქმე იქამდე მივიდა, რომ მე — ამბობს ზინოვიევი, — „პრავდაში" გავგზავნე ნეკროლოგი კიროვზე. ეს ნეკროლოგი არ დაბეჭდილა.

ამის შემდეგ ზინოვიევი სასამართლოს მოუთხრობს, თუ როგორ მზადდებოდა ს. მ. კიროვის მოკვლა. „1934 წელს — ამბობს ზინოვიევი, — მე ბაკაევი გავგზავნე ლენინგრადში იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მიმდინარეობდა კიროვის მოკვლის მზადება. ბაკაევი ლენინგრადში გავგზავნე როგორც ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვენდობოდით და რომელიც ჩინებულად იცნობდა ტერორისტთა პირად შემადგენლობას. მას უნდა შეემოწმებინა ადამიანები, პირობები, მზადყოფნის მეტნაკლებობა და სხვ., ბაკაევი დაბრუნდა ლენინგრადიდან და გვაცნობა, რომ ყველაფერი რიგზეა".

ვიშინსკი: თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერი რიგზეა?

ზინოვიევი: მე ვფიქრობდი, რომ მთელი მუშაობა შესრულებული იყო.

ვიშინსკი: თქვენ აჩქარებდით, თქვენ ასწრაფებდით კიროვის მკვლელობას? იყო თუ არა ისეთი მომენტები, როდესაც თქვენ უკმაყოფილებას გამოსთქვამდით თქვენი ტერორისტების ერთგვარი დაყოვნების გამო?

ზინოვიევი: დიახ, მე გამოვთქვამდი ერთგვარ უკმაყოფილებას.

ვიშინსკი: შეიძლება ითქვას, რომ თქვენ იყავით კიროვის მკვლელობის არა მარტო ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, არამედ ამ ამბის უფრო სწრაფად განხორციელების ორგანიზატორიც?

ზინოვიევი: იყო მომენტი, როდესაც მე ამის დაჩქარებას ვცდილობდი.

ზინოვიევი შემდგომს ჩვენებაში ლაპარაკობს თავის შეხვედრებზე მ. ლურიესთან (ემელთან), რომელმაც ტროცკისგან ტერორისტული დირექტივები ჩამოიტანა. „მე ვიცოდი, — ამბობს ზინოვიევი, — რომ მ. ლურიე ტროცკისტი იყო და არა მარტო ტროცკისტი, არამედ როდესაც იგი ლაპარაკობდა, ფაშისტის ენაც კი გამოჰქონდა".

ვიშინსკი: რაში გამოიხატა მისი ფაშიზმი?

ზინოვიევი: ფაშისტური იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ამბობდა ისეთ ვითარებაში, როგორც ახლა არის, ჩვენ არ უნდა ვერიდოთ არავითარი საშუალების გამოყენებასო.

ამხ. ვიშინსკი შეკითხვით მიმართავს მ. ლურიეს, საიდანაც ირკვევა, რომ ბერლინიდან ნ. ლურიეს ჩამოსვლის შემდეგ ზინოვიევი მას სამჯერ შეხვედრია. ამასთან ლურიეს ზინოვიევთან შეხვედრის დროს უკანასკნელის ბინაზე ადგილი ჰქონდა გულწრფელ ლაპარაკს ლურიესა და ზინოვიევს შორის. ლაპარაკი იყო ტროცკის ტერორისტულ დირექტივებზე, რომლებიც მ. ლურიემ რუტფიშერისა და მასლოვის საშუალებით ბერლინში მიიღო და შემდეგ მ. ლურიემ გერცბერგის საშუალებით ზინოვიევს გადასცა. — მე, — ამბობს მ. ლურიე—ვკითხე ზინოვიევს, არის თუ არა საქმის კურსში ნათან ლურიე. ზინოვიევმა მიპასუხა, ნათან ლურიეს კავშირი აქვს ვიღაც ფრანც ვაიცთანო. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ არის ფრანც ვაიცი, მან მაცნობა, ფრანც ვაიცი გიმლერის განსაკუთრებით სანდო პირია გესტაპოდან. მე მას კვლავ შევეკითხე: ხართ თუ არა ამ ჯგუფის კურსში? ზინოვიევმა დადებითად მიპასუხა. ჩემ შეკითხვაზე, რამდენად დასაშვებია მარქსისტებისათვის ინდივიდუალური ტერორის გამოყენება და ფაშისტურ ჯგუფებთან კავშირის დაჭერა, მან მიპასუხა: „თქვენ ხომ ისტორიკოსი ხართ, მოსე ილიასძევ", ამასთან ზინოვიევმა პარალელი გაატარა ბისმარკსა და ლასალთან, და დასკვნა [illegible] მოვიყვანოთ?

ლურიეს პასუხის შემდეგ ზინოვიევი ცდილობს მის მიერ წარმოთქმული ფრაზა ლასალისა და ბისმარკის შესახებ თვით ლურიეს მიაწეროს. მაგრამ, მას არ შეუძლიან უარყოს ის ფაქტი, რომ ლურიე ნამდვილად იყო მასთან მის ბინაზე და ჰქონდა მასთან ლაპარაკი ტერორის შესახებ.

შემდეგ ზინოვიევი უპასუხებს თავმჯდომარის ამხ. ულრიხის შეკითხვას მისი, ზინოვიევის, მონაწილეობაზე ამხ. სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაში, და ამბობს: მე მონაწილეობას ვიღებდი ამ საქმეში და ვიცი სტალინის სიცოცხლეზე ხელყოფის ორი ცდა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ რეინგოლდი, დრეიცერი და პიკელი. ზინოვიევი აგრეთვე ადასტურებს, რომ მან ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელს ბაკაევს უჩვენა თავისი პირადი მდივანი ბოგდანი, როგორც ამხანაგ სტალინის მოკვლის შემსრულებელი.

მოწმე საფონოვას დაკითხვა

სასამართლო გადადის პროკურორის შუამდგომლობით გამოძახებული მოწმის საფონოვას დაკითხვაზე.

საფონოვა აჩვენებს, რომ იგი იყო ტროცკისტული ცენტრის წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ცენტრის მუშაობაში. შემდეგ იგი ამბობს, რომ 1931 წელს ი. ნ. სმირნოვმა ტროცკისტული ორგანიზაციის ცენტრს ტერ-ვაგანიანისა, მრაჩკოვსკისა და მისი, საფონოვას სახით, ინფორმაცია გაუკეთა, რომ მან ბერლინში სედოვისაგან მიიღო ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე გადასვლის გეზი. ი. ნ. სმირნოვმა გადმოგვცა ეს გეზი და ხაზი გაუსვა, რომ იგი ტროცკისაგან მომდინარეობს. „ამავე თათბირზე, — აჩვენებს შემდგომ საფონოვა, —სმირნოვმა გვაცნობა, რომ ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება ტერორზე გადასვლის შესახებ და ტერორისტული აქტის, პირველ რიგში, სტალინის წინააღმდეგ შესრულების შესახებ. 1932 წელს სმირნოვმა მიიღო ტროცკის დირექტივა, რომელიც გავენმა ჩამოიტანა. ეს დირექტივა პირდაპირ ადასტურებდა ტროცკის დირექტივას ტერორზე, რომელიც სმირნოვმა სედოვის საშუალებით მიიღო. ამ დირექტივის შესახებაც ინფორმაცია ი. ნ. სმირნოვმა გაგვიკეთა. ეს დირექტივა, არა თუ ადასტურებდა სედოვის საშუალებით გადმოცემულ მითითებებს, არამედ იგი ამავე დროს მოასწავებდა სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის დაჩქარების საჭიროების მითითებას.

საფონოვას მოჰყავს კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ახასიათებს ი. ნ. სმირნოვის დამოკიდებულებას ტერორისადმი: „ერთხელ, — ამბობს იგი, — მრაჩკოვსკი დაბრუნდა სტალინის მიერ მიღების შემდეგ და გვიამბო თავისი საუბარი სტალინთან. ამას დავესწარით მე და ი. ნ. სმირნოვი. მრაჩკოვსკი გვიამბობდა სტალინთან საუბარს, ამ საუბარს იგი უკავშირებდა ჩვენი შემდგომი ბრძოლის პერსპექტივებს და განაცხადა, რომ ერთადერთი გამოსავალი სტალინის მოკვლაა. ი. ნ. სმირნოვმა აქტიურად დაუჭირა მხარი მრაჩკოვსკის ამ დასკვნას".

„ვიდრე მე 1932 წლის დეკემბერს ამურ-ბაიკალის გზის მშენებლობაზე გავემგზავრებოდი, — განაგრძობს თავის ჩვენებას საფონოვა, — საუბარი მქონდა სმირნოვთან ორგანიზაციის შემდგომი მუშაობის შესახებ ტერორზე გადასვლის გადაწყვეტილების გამო. ი. ნ. სმირნოვმა კატეგორიული ფორმით დამიდასტურა, რომ სტალინი უნდა მოიკლას, რომ სტალინი მოკლული იქნება".

იმასთან დაკავშირებით, რომ საფონოვას ჩვენება საბოლოოდ ამხელს სმირნოვს, ამხ. ვიშინსკის გარკვეულობა შეაქვს სმირნოვისა და საფონოვას დამოკიდებულებაში. სმირნოვი ამბობს, რომ საფონოვა მისი ცოლია და რომ მასთან პირადი ანგარიშები არა აქვს.

ამით დამთავრდა 20 აგვისტოს დილის სხდომა.

სისხლიანი ბრბო

აღარა დარჩათ რა მათ, არც პოლიტიკური პროგრამა, არც რწმენა, არც თვით ელემენტარული პატივისცემა ერთმანეთისადმი, საკუთარი თავისადმი. ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ზინოვიევის გველური მცნებით — „მუცლით შეხოხდით პარტიაში", რომლებმაც თავის პოლიტიკურ სინდისს მრავალჯერ გაუკეთეს საშინელი ვივისექცია, ადამიანებმა, რომლებიც საბოლოოდ გაკოტრდნენ, კონტრრევოლუციის გაჩანაგებულმა მაჩიაკებმა, რომლებსაც ძალაუფლების წყურვილი, მუშათა კლასისადმი მტრობა ამოქმედებდათ, — მათ ბრალდებულთა სკამზე მოიტანეს სიძულვილი ერთმანეთისადმი, თავისი ძველი ტაქტიკის ძონძები.

მათ სძულთ ერთმანეთი, ამას არ უმალავენ სასამართლოს, საზოგადოებას, რომლითაც სავსეა სხდომის დარბაზი, ცდილობენ რა ხანდახან ჩირქი მოსცხონ ერთმანეთს რეპლიკებით, შეკითხვებზე პასუხის გაცემით, პოლემიკური გამოსვლებით. კამენევი, რომელიც ისევ ბატონად დარჩენილა, კვლავ ცდილობს თავის ყოფილ თანამებრძოლს რეინგოლდს მოეპყრას ისე, როგორც მონას. საზიზღარი ტროცკისტული გველი სმირნოვი კი, რომელმაც ტროცკის ლოცვა-კურთხევით კავშირი დასდო ზინოვიევთან, ზიზღით ამბობს — „ზინოვიევი ასე იმიტომ ლაპარაკობს, რომ ის ზინოვიევია".

სასამართლო ფაქტებს მოითხოვს. ამ ბოროტეს სახელმწიფო დამნაშავეებს ულრიხმა, ვიშინსკიმ განუმარტეს, რომ მთელი რიტორიკული სოუსი უკვე დანთხეულია 1935 წლის იანვრის პროცესზე. საჭიროა ფაქტები, ფაქტები. ტროცკისტული კარდინალი სმირნოვი იგრიხება, იკლაკნება, მაგრამ ფაქტები ყოველი მხრიდან გარს ერტყმიან მას და სტეხავენ ტროცკისტული მგლის წინააღმდეგობას. ძალიან ცდილობენ ზინოვიევი და კამენევი თავი დაიფარონ ფაქტებისაგან მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაცვეთილი ფრაზებით, მაგრამ ფაქტები ძალაობენ, ფაქტები სახეში სცემენ მათ, ფაქტები სახეს უღალავენ კეთრის წყლულივით, ფაქტები აიძულებენ ტერორისტებს სთქვან ყველაფერი, ილაპარაკონ ბოლომდე.

ფაქტები ღაღადებენ და სულ უფრო და უფრო შინაარსით ივსება ბრალდება, რომელიც დამყარებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებზე. მუხლი 58-8. ის სჯის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების ანდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების მოღვაწეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ჩადენისათვის, სჯის ასეთი აქტების შესრულებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ეს მუხლი ითვალისწინებს სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას.

მუხლი 58-11 ლაპარაკობს ყოველგვარი ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ, რომელიც მიმართულია სახელმწიფო დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენისაკენ, აგრეთვე ისეთ ორგანიზაციაში მონაწილეობის შესახებ, რომლის დანიშნულებაც ერთიერთი ამ დანაშაულის მომზადება ან ჩადენა შეადგენს.

ამ მუხლების თვალთახედვით პროცესი მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე ააშკარავებს კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის ცოფიანი ვირთაგვების საზიზღარ სახეს. რა საშინელ ჩირქებს არ იძლევიან ეს ბოროტმოქმედნი გამოძიების მიერ მოპოვებული უტყუარი საბუთების წინაშე! როდესაც ზინოვიევის ნასუფრალით გამოზრდილმა, მრავალი წლის განმავლობაში ზინოვიევის მდივნად ნამყოფმა ბოგდანმა ამხანაგ სტალინზე თავდასხმის მოწყობის უშედეგო ცდის შემდეგ იმედი დაჰკარგა და სასოწარკვეთილებას მიეცა, მას გარს შემოერტყა ტერორისტული ბრბო და გასთელა იგი. ბაკაევი, ეს უტვინო, სისხლიანი ყასაბი, მთელი ღამე იჯდა ბოგდანთან და არწმუნებდა მას შეესრულებინა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის დირექტივა — ან მოეწყო თავდასხმა, ან თავი მოეკლა. და მათ აიძულეს ის თავი მოეკლა და თავისი სიკვდილითაც კი ტყუილი ეთქვა.. როცა კვდებოდა, ამ გველმა, რომელსაც საშინლად ეზიზღებოდა პარტია, პროვოკატორების რჩევით „მსხვერპლად" დასახა თავისი თავი. მათ იმიტომ აიძულეს ბოგდანი თავი მოეკლა, რომ დაეფარათ თავიანთი ბოროტმოქმედებათა კვალი. მათ ყველაზე უფრო მეტად თავისი სისხლიანი, ბინძური კვალისა ეშინოდათ. როდესაც ისინი ეძებდნენ გზას ძალაუფლებისაკენ ტერორისტული აქტების საშუალებით, მათ წინდაწინ გაანაწილეს პორტფელები, გადასწყვიტეს შეექმნათ „სახელმწიფო პოლიტსამმართველო" და ბაკაევი, რომელიც სათავეში უნდა ჩასდგომოდა ამ დაწესებულებას, კისრულობდა პირველ რიგში მოესპო ტერორისტული აქტების ყველა მონაწილე, თავისი თანაშემწეები, თავისი განწირული მებრძოლები, რათა ქვეყანაზე არავის არ გაეგო ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის და სხვათა ბოროტმოქმედების ამბავი. ჰიტლერისაგან ისწავლეს მათ „კვალის დაფარვა". —ჰიტლერისაგან, რომელმაც მოსპო რემი და ყველა ისინი, ვინც იცოდა, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ჰიტლერმა ძალაუფლება.

ისინი ნადირობდნენ პარტიის ხელმძღვანელებზე, თვალყურს ადევნებდნენ ამხანაგ სტალინს ყველგან, სადაც კი იგი გამოჩნდებოდა. თვალყურს ადევნებდნენ მის თანამებრძოლებს — კიროვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, ორჯონიკიძეს. ზინოვიევი, რომელმაც [illegible] შეკრა ბლოკი ტროცკისტებთან, ბორგავდა, აჩქარებდა თავის ხელქვეითებს.

სასამართლო ითვლის ამ დანაშაულთ. ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის თქმული, თუმცა იმასაც, რაც უკვე გამოჰქვეყნდა, კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის ამ სისხლიანი ბანდიტების საზიზღრობათაგან თმა ყალყზე დგება. ბრალდებულთ ერთიმეორეზე გამოაქვთ ხალხის სამსჯავროზე ფაქტები და ეს ფაქტები მკვლელთა ბრბოს მეწყერივით ატყდება თავს.

ბ. იზგოევი

(„იზვესტია")

(გადმოცემულია ტელეგრაფით მოსკოვიდან „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტის მიერ).

და აი, როდესაც უხვად გადიშალა პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებანი, მუხანათურად ზურგში ტყვია ესროლეს და თავის კაბინეტთან საოლქო კომიტეტში მოჰკლეს ლენინგრადის ბოლშევიკთა დაუვიწყარი ბელადი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

გამოძიებამ ძალიან მალე გამოარკვია, რომ იგი ზინოვიეველებმა მოჰკლეს. ძალიან მალე გამოძიება მისწვდა მოსკოვის ზინოვიევურ ცენტრს, რომელსაც კავშირი ჰქონდა მკვლელებთან. ზინოვიევი და კამენევი დააპატიმრეს და საბჭოთა სასამართლომ მათ მსჯავრი დასდო როგორც საზიზღარი დანაშაულის სულისჩამდგმელთ. მაგრამ ვერაგული მკვლელობის ძაფები საბოლოოდ ვერ იქმნა გამომჟღავნებული. ეს ძაფები მხოლოდ ახლა გამოაშკარავდა.

თურმე უკვე 1932 წელს ზინოვიეველები და ტროცკისტები ერთმანეთთან შეთანხმებულან, რომ ტერორი მოეწყოთ ჩვენი პარტიის ბელადების წინააღმდეგ. მათ არავითარი პლატფორმა არ გააჩნდათ, რომ იგი პარტიისათვის დაეპირისპირებინათ, გარდა კაპიტალისტური რესტავრაციის რიუტინ-სლეპკოვური პლატფორმისა. მაგრამ განა შეიძლებოდა მასების წინაშე, პარტიის წინაშე ასეთი „პროგრამით" გამოსვლა?

ცხოვრებაში მის განსახორციელებლად ზინოვიევმა და კამენევმა პირდაპირი დირექტივა მისცეს თავის ახლობლებს, მოეწყოთ ამხ. კიროვისა და ჩვენი პარტიის სხვა ხელმძღვანელების, უწინარეს ყოვლისა ამხანაგ სტალინის მოკვლა.

რაც უფრო სწრაფად და წარმატებით მიდიოდა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმისაკენ, რაც უფრო მატულობდა მასების კეთილდღეობა, მით უფრო ნათლად ესმოდათ ტროცკისტ და ზინოვიეველ მაჩინჯებს, რომ პარტიის წინააღმდეგ მათ არ გააჩნდათ სხვა იარაღი, გარდა საზიზღარი ფარული ტერორისა, გარდა პოლიტიკური ბანდიტიზმისა.

დიადი სოციალისტური მშენებლობის ენტუზიაზმით შეპყრობილი, მუშებისა და კოლმეურნეების არმია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი ბელადის, ყველა მშრომელის საყვარელი მეგობრის, ამხანაგი სტალინის მეთაურობით სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევდა, სასწაულებს ახდენდა, რაც კაპიტალისტურ მსოფლიოში ჩვენს მტრებსაც კი აოცებდა.

და აი ამ დროს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის გაერთიანებული ცენტრი: ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, სმირნოვი, მრაჩკოვსკი, ტერ-ვაგანიანი და სხვ., თავისი მსგავსივე საზიზღარი მკვლელების ხელით, თვით ტროცკის დირექტივით, აკეთებდა თავის საქმეს, ამზადებდა ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანების ფარულად მოკვლას.

ახლა უკვე ზუსტად გამორკვეულია, რომ ზინოვიევი და კამენევი პირადად დაჟინებით მოითხოვდნენ იმას, რათა ტერორისტულ ჯგუფებს, რომლებიც ს. მ. კიროვს თვალყურს ადევნებდნენ, რაც შეიძლება დაჩქარებით ბოლომდე მიეყვანათ თავისი საზიზღარი საქმე.

და როდესაც მოხდა მკვლელობა, რამაც მთელი ქვეყანა შესძრა, ზინოვიევი ამაოდ ცდილობდა „პრავდაში" გამოექვეყნებინა სტატია, რომელშიაც იგი თავის აღშფოთებას გამოსთქვამდა, ცდილობდა თავისი იუდური ამბორით დაეფარა დანაშაულის კვალი.

თვალთმაქცობის სისაძაგლემ აქ გადააჭარბა ყოველივე იმას, რაც ისტორიიდან ვიცით. ერთი ხელით ამზადებდე პარტიის ბელადების მოკვლას. მეორე ხელით სწერდე სტატიებს, რომელშიაც ცდილობდე კვალი დაჰფარო. ერთი და იმავე ბაგით დირექტივებს აძლევდე ტერორის შესახებ და მონანიებით სიტყვებს ამბობდე. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბოლშევიკთა მკვლელობის მოწყობისათვის საზიზღარი მუშაობის ციებცხელების დროს ზინოვიევი და კამენევი პარტიის XVII ყრილობაზე გამოდიოდნენ სიტყვებით, რომელშიაც ფიცს სდებდნენ პარტიის გენერალური ხაზის ერთგულებაში კიდევ და კიდევ უარყოფდნენ ტროცკიზმს.

V.

ამ გამცემელთა სისტემას საფუძვლად ედო ცივი, მოფიქრებული ანგარიში: წაერთმიათ პარტიისათვის მისი საყვარელი ბელადები, და ამ დროისათვის ყალბი გამოსვლებით იმდენად აებნიათ გზა კვალი, რომ კრიტიკულ მომენტში პარტიას მკვლელებისათვის მიემართნათ. ასე გულცივად ვარაუდობდნენ ეს ბინძური ადამიანები, რომლებმაც ყოველგვარი იდეურობა დაჰკარგეს, ადამიანები, რომლებსაც არაფერი დარჩენიათ, გარდა შიშველი კარიერიზმისა და მხეცური სიძულვილისა ჩვენი ქვეყნისადმი, მისი საუკეთესო ადამიანებისადმი, სოციალიზმისადმი, რომელიც მათი სურვილის წინააღმდეგ აშენდა.

ამ ქვეყნის წინააღმდეგ, მასში აშენებული სოციალიზმის წინააღმდეგ ისინი მზად არიან წავიდნენ და მიდიან კიდეც ვისთანაც გნებავთ — თეთრგვარდიელებთან, გერმანელ ფაშისტებთან, ყველა ქვეყნის ფაშისტებთან, სულერთია. საფრანგეთში ტროცკისტები —სახალხო ფრონტის მოწინააღმდეგეები არიან და ამით ხელს უწყობენ ფაშისტებს. გერმანიაში ტროცკისტები — ჰიტლერის აგენტები არიან. პოლონეთში ტროცკისტები — პოლონეთის ოხრანკის აგენტები არიან. უკრაინაში ჯერ კიდევ 1934 წელს იქნა აღმოჩენილი ტროცკისტთა თანამშრომლობა უკრაინელ ფაშისტებთან. ეს თანამშრომლობა ხორციელდებოდა ისეთი თვალსაჩინო ტროცკისტების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ კოციუბინსკი, ნაუმოვი, რაპოპორტი. მის მიზანს შეადგენდა უკრაინის ჩამოშორება საბჭოთა კავშირისაგან. ძირითადად ისინი იმედს ამყარებდნენ გერმანია-პოლონეთის ინტერვენციაზე. გამცემელთა და ხალხის მტერთა ბლოკს აღებული ჰქონდა გეზი საერთაშორისო ურთიერთობათა გართულებისაკენ, ომისაკენ. აქედან გამომდინარეობს მჭიდრო, ინტიმური კავშირი გერმანიის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან („გესტაპოსთან").

VI

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ახლა აქედან? ტროცკისტები და ზინოვიეველები ჩვენი სამშობლოს ყველაზე საზიზღარი მტრები არიან. მაგრამ ამ მტრებს უკვე დიდი ხანია გამოეცალათ ყოველგვარი ნიადაგი. ვინ შეიძლება შეუერთდეს ტროცკისტულ-ზინოვიევურ თეორიას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ? ვინ გასწევს იმის რისკს დაუმტკიცოს ჩვენი ქვეყნის მუშებსა და კოლმეურნეებს, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი მართალი იყო თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ?

ვინ გაჰყვება გამცემელთა, ტერორისტთა, ხალხის საზიზღარ მტერთა უბადრუკ, ბრარა, უმნიშვნელო ჯგუფს?!

ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს შეუძლიათ იარსებონ, შეუძლიათ თავიანთი იუდური მუშაობა გასწიონ მხოლოდ მოტყუების გზით. პარტიის მეგობრებად თავის მოჩვენებით, პარტიული ბილეთის ჯამბაზურად გამოყენებით. მათ უკვე დიდიხანია დაჰკარგეს ყოველგვარი იმედი თან გაიყოლიონ მასა და ფაქტიურად ხელი აიღეს მასებში მუშაობაზე. ამიტომ უფრო ძნელი გახდა მათი აღმოჩენა.

ტროცკისტები უფრო ღრმად ინიღბებიან, რათა ვერავინ შესძლოს მათი დაჭერა. მიამიტ ადამიანებს რომ გზაკვალი აუბნიონ, ისინი გაჰყვირიან პარტიის გენერალური ხაზის ერთგულებაზე. მოურიდებელი პირმოთნეობის, მლიქვნელობის გზით ისინი იძვრენ ცალკეულ ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა ნდობას, ხოლო ზოგჯერ პასუხსაგებ თანამდებობებსაც კი ღებულობენ აპარატში.

პირდაპირ უნდა ითქვას: თუ ჩვენი ქვეყნის ამ ყველაზე საზიზღარი, ბინძური და ბილწი მტრების ნაშთები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არიან გამოვლინებული, თუ ისინი აქა-იქ ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენიათ პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის შემდეგაც კი, — ეს იმას მოწმობს, რომ არა ყველა ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი იჩენს აუცილებელ სიფხიზლეს. ბოლშევიკს უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ გამოიცნოს პარტიის მტერი რარიგ კარგადაც უნდა იყოს იგი შენიღბული. ვერავითარი მტერი ვერ იბოგინებს ჩვენს პარტიაში და მით უმეტეს პარტიულ აპარატში, თუ პარტიული ხელმძღვანელები იცნობენ თავის ხალხს, ყოველდღიურად უხელმძღვანელებენ მათ და კონტროლს გაუწევენ მათ მუშაობას.

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ნაბოლარებს, ჩვენი ქვეყნის ყველაზე საზიზღარ, საძაგელ მტრებს, პატენტიან მატყუარებს, ჩასაფრებით მკვლელობათა პროფესიულ ორგანიზატორებს, ფაშისტ-თეთრგვარდიელ გადაგვარებულებს, რომლებსაც ყოველგვარი ადამიანური სახე დაუკარგავთ, სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო, არ მივსცეთ მათ იმის საშუალება, რომ მოსწამლონ ჩვენი სალი საბჭოთა ჰაერი. გავსრისოთ ქვეწარმავალნი!

„პრავდა"

მხარეთმცოდნეობის საზოგადოება ზემო-სვანეთში

სვანეთი საბჭოთა საქართველოს ერთი უმშვენიერესი მხარეა. მისი ბუნება მდიდარია ტყით და სხვადასხვა მინერალით. სვანეთის ყინვარები და ძალოვანი მდინარეები დაუშრეტელ საწარმოო ძალას წარმოადგენენ.

სვანეთი მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით; არაჩვეულებრივ საინტერესოა სვანების ყოფა-ცხოვრებაც, რომელსაც დღემდის თემური წყობილება ახასიათებდა.

სვანეთის შესწავლას წარსულში ყურადღება არ ექცეოდა. მეფის ხელისუფლება სვანეთს უყურებდა, როგორც „ველურ" მხარეს და მას უვიცობის წყვდიადში ახრჩობდა.

თუ რაიმე იწერებოდა სვანეთის შესახებ, ისიც უცხო და ცრუ ტყუილიანი მოხელეებისაგან, რომლებიც სენსაციურსა და ყალბ ცნობებს ავრცელებდნენ სვანეთის შესახებ. სვანეთის მოსახლეობას არ შეეძლო თავისი ქვეყანა თვითონვე შეესწავლა და იძულებული იყო მოთმინებით გადაეტანა დამცირება და შეურაცხყოფა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სვანეთში გაჩაღდა დიდი მშენებლობა, გზების გაყვანა, ხე-ტყის წარმოება, სასკოლო მშენებლობა, სვანეთის ცენტრის — მესტიის ქალაქად გადაქცევა და მისი რეკონსტრუქცია. დღეს სვანეთში უკვე ავტოები დაგუგუნობენ, ჰაერში კი თვითმფრინავები დასრიალებენ. მესტიიდან სვანს მხოლოდ ორი საათი სჭირდება, რომ ტფილისში გადმოფრინდეს.

სვანეთს ჰყავს თავისი მშრომელი ინტელიგენცია, რომელიც ადგილობრივ დიდ მუშაობას ეწევა. მაგრამ ნაყოფიერ მშენებლობისათვის საჭიროა თავისი კუთხის ბუნებისა, ყოფისა და ისტორიის შესწავლა, ასეთ შესწავლით დაინტერესებულია სვანეთის მშრომელი მოსახლეობა და ამ მიზნით ა.-წ. 10 აგვისტოს მესტიაში დაარსდა სამხარეთმცოდნეო საზოგადოება, რომლის მიზანია ადგილობრივ მხარეთმცოდნეთა დახმარებით შეისწავლოს სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრენი, მისი ისტორია და ყოფაცხოვრება.

საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა სამი სექცია: საბუნებისმეტყველო, ისტორია—ყოფაცხოვრებისა და სასკოლო მხარეთმცოდნეობისა. თვითეულ სექციას ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, შემუშავებულია სამუშაო გეგმა და თემატიკა.

საჭიროა საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ ზემოსვანეთის ფილიალს მეცნიერულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობასთან ერთად ფინანსური დახმარებაც გაუწიოს.

ს. მ.

◇ ◇ ◇

მანქანები თურქეთისათვის

შარშან 26 კომისრის სახელობის ტფილისის მანქანათმშენებელმა ქარხანამ თურქეთის 1-ლი საფეიქრო კომბინატისათვის კაისერში დაამზადა რამდენიმე მანქანა. მანქანების დადგმა და მონტაჟი ადგილობრივ შეასრულა ქარხნის მუშაკმა.

ამჟამად ქარხანა ამთავრებს მანქანების მეორე პარტიის დამზადებას თურქეთის მეორე საფეიქრო კომბინატისათვის ნაზილში.

ამ მანქანების დამზადებას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. დიდმა წინასწარმა მუშაობამ უზრუნველჰყო მათი მაღალი ხარისხი.

მანქანები გაიგზავნება სექტემბერში. მანქანების დასადგმელად და დასამონტაჟებლად თურქეთში მიემგზავრება ქარხნის სამონტაჟო ბიუროს უფროსი ამხ. აბრამოვი.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა გადავიდა მანქანების სერიულად დამზადებაზე საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობისათვის. სასწორების, ჩაის მოწყობილობის და საწოლების გამოშვება, რასაც ქარხანა წინა წლებში აწარმოებდა, თითქმის შეწყვეტილია და სხვა ქარხნებს გადაეცა.

◇ ◇ ◇

მწერლები პიონერთა ბანაკში

18 აგვისტოს ქვიშხეთის პიონერთა ბანაკს ესტუმრნენ მწერლები: ორდენოსანი მწერალი მიხ. ჯავახიშვილი, დემნა შენგელაია, ს. წვერავა, პოეტები: სიმონ ჩიქოვანი, ა. ქუთიშვილი, ი. მოსაშვილი, გ. გორგაძე და ს. თავაძე.

მწერლები დაწვრილებით გაეცნენ პიონერების ცხოვრებას, მუშაობას, ესაუბრნენ მათ ლიტერატურულ თემებზე.

შემდეგ ცის ქვეშ გაიმართა ლიტერატურული საღამო. საღამო გახსნა ბანაკის დირექტორმა ანდრო მჭედლიძემ. ს. წვერავამ მოკლე ინფორმაცია გააკეთა თანამედროვე საბჭოთა მწერლების შემოქმედებაზე.

ორდენოსანმა მწერალმა მიხ. ჯავახიშვილმა მოკლე მხატვრული სიტყვით მიმართა პიონერებს და უსურვა მათ მტკიცედ დაეუფლონ კულტურის მწვერვალებს, ისწავლონ ბეჯითად, რომ გახდნენ ღირსეული მემკვიდრენი დიდი სტალინური ეპოქისა.

სიტყვების შემდეგ მწერლებმა წაიკითხეს თავისი ნაწარმოებები.

ტფილისის საპლანერო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდა პლანერისტები უცქერიან თვითმფრინავის უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს.

ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობთა ალპინისტური ჯგუფი. სურათზე: (სხედან მარცხნიდან) გ. ლომაია, დავ. ჩხეიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), მ. ლორთქიფანიძე, გ. შავგულიძე, გ. შალიაშვილი. დგანან: ი. ქოქრაშვილი, ს. იაშვილი (ელექტრო-მექანიკოსი), ალ. ომიაძე და გ. კოსტავა.

მსახიობები მყინვარწვერზე

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე მსახიობმა განვიზრახეთ ყინვარწვერზე ასვლა, რაზედაც დიდი ხანია ვოცნებობდით. ჯგუფი 9 კაცის შემადგენლობით სამზადისს შევუდექით 20 ივლისიდან. სათანადო მომზადების შემდეგ 6 აგვისტოს გავემგზავრეთ სოფელ ყაზბეგისაკენ.

თვითეული ჩვენგანი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა და ამ პასუხისმგებლობას აძლიერებდა ის, რომ თან მიგვქონდა ამხ. ლ. ბერიას ბარელიეფი; ჩვენ გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, მიგვეღწია მწვერვალისათვის.

8 აგვისტოს დილით გავემგზავრეთ მეტეოროლოგიურ სადგურისაკენ, რომელიც 10 კილომეტრით არის დაშორებული სოფელ ყაზბეგს გზა სულ მთიანია. შემდეგ იწყება ყინულოვანი მთები და ნაპრალები. დიდის წვალებით საღამოს 7 საათზე მივაღწიეთ მეტეოროლოგიურ სადგურს, რომელიც ზღვის დონიდან 4000 მეტრის სიმაღლეზეა და ღამეც იქ გავათიეთ. თვით ეს სადგური მოთავსებულია ლოდების ხროვაში. მის გარშემო ყინულოვანი მთები და ბუმბერაზი ყინვარია, რომელიც გიზიდავს. თვალს გჭრის და თავს ახლო გაჩვენებს... გეგონება, ერთ საათში მიაღწევ მის მწვერვალს. მიდიხარ მისკენ და თანდათან გრძნობ ჰაერის გათხელებას... სუნთქვა გიძნელდება, ჭამის მადა სრულებით იკარგება, მიუხედავად ხანგრძლივი მგზავრობისა.

ღამის გასათევად მოვეწყეთ ცის ქვეშ კარვებში. მეორე დღეს ღამის 2 საათზე და 45 წ. ნიშანს გვაძლევს გამყოლი მიშა წიკლაური და ჩვენც მწკრივში ჩამდგარნი მივდივართ მწვერვალისაკენ. მთელი ეს მოწყობილობა, თოკებით ერთმანეთზე გადაბმა, წერაქვები და ყინულმჭრელებით ხელში სიარული უცხოა. მაგრამ ყველაფერ ამას ისე მოხდენილად ვხმარობდით, თითქოს დიდი ხნის დახელოვნებული ვიყოთ მთასვლელობაში. ღამით გასვლა იმისათვის იყო საჭირო, რომ მზის ამოსვლამდე მოგვესწრო იმ კლდის გავლა, რომელსაც „ხმაურას" ეძახიან. ამ „ხმაურას" მთიდან მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ცვივა ქვის ლოდები. იქ გავლა შესაძლებელია მხოლოდ ღამით, როდესაც მთა გაყინულია. ამ მთის ძირას იწყება ყინულოვანი ნაპრალები, სადაც გასვლა შეუძლებელია.

როდესაც მზის პირველი სხივი გადმოგვაფრქვია, ჩვენ უკვე ფირნის ყინულოვან ველზე ვიყავით, იმ წამსვე გვაცნობა ჩვენმა წინამძღოლმა, სწრაფად სათვალეები და პირბადე გაგვეკეთებინა, მზეს რომ არ დავებრმავებინეთ, ვინაიდან მზე აბრმავებს და სახეს უწვავს ადამიანს.

რიგრიგობით მიგვაქვს ამხ. ლ. ბერიას ბარელიეფი, წონით 18 კილო. რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო სუნთქვა სჭირს, ჰაერი აღარა გვყოფნის. მივაღწიეთ „უნაგირას" მთას, ვფიქრობთ აქ მაინც შევისვენოთ, მაგრამ ზვავის შიშით არც აქ ვისვენებთ და მივიმართებით ზევით. დღის 2 საათ. 50 წ. მწვერვალს მივაღწიეთ და სიხარულით აღტაცებულებმა ყველამ შემოვძახეთ „ვაშა" და გავემართეთ იმ ადგილისაკენ, სადაც აღმართულია ამხ. სტალინის და ვოროშილოვის ბიუსტები. გავწმინდეთ თოვლისაგან ბიუსტები. მათ გვერდით მოვათავსეთ ამხ. ლ. ბერიას ბარელიეფი, დავტოვეთ ბარათები, მოვინახეთ შავი ზღვის სანაპირო რაზმის მიერ ატანილი დროშა, გადავიღეთ სურათი ბიუსტებთან და გამოვეშურეთ უკან.

მწვერვალზე დაახლოებით ერთ საათს დავყავით. ხანგრძლივად იქ ყოფნა შეუძლებელია, ძალიან ცივა, ასვლა უფრო ძნელი იყო, თუ ჩამოსვლა.

ჯგუფში მონაწილეობდნენ დავით ჩხეიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), მიხ. ლორთქიფანიძე, გ. ლომაია, გ. კოსტავა, გ. შავგულიძე, გ. შალიაშვილი, ალ. ომიაძე, ი. ქოქრაშვილი, ს. იაშვილი (ელექტრო-მექანიკოსი).

მოვალედ ვთვლით თავს ჯგუფის სახელით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ბ. გორდელაძეს, გ. ბოლქვაძეს, ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარეს გ. შავგულიძეს, ალპინისტ ქალს მარო, ყაზბეგის ტურისტთა საზოგადოების თავმჯდომარეს ამხ. დავით ტორაშვილს, ს. ნაზარიშვილს და ჩვენი თეატრის ხელმძღვანელს დ. ანთაძეს, რომელთაც საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებით შეგვაძლებინეს ჩვენთვის მეტად რთული ამოცანის შესრულება.

დავ. ჩხეიძე.

◇

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ოპერის თეატრი ემზადება სეზონისათვის

ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრი სეზონისათვის გაცხოველებით ემზადება. თეატრის მზადებას კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მომავალი სეზონისათვის თვალსაჩინოდ გაძლიერებულია თეატრის ორკესტრი. ორკესტრში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ცნობილი მუსიკოსები. თეატრის სადირიჟორო განყოფილებაში იმუშავებენ ე. მიქელაძე (მთავარი დირიჟორი და მუსიკალური განყოფილების გამგე), პაულ პელა, შ. აზმაიფარაშვილი, და სხვ. მიღებულია ზომები იმისათვის, რომ ორკესტრი გამტკიცდეს ადგილობრივი კადრებით. ორკესტრში მომავალ სეზონში მონაწილეობას მიიღებს 110 კაცი.

გაძლიერებულია აგრეთვე მსახიობთა შემადგენლობა. ყველა საუკეთესო ძალნი საქართველოს კადრებიდან, რომლებიც წინათ სხვა ქალაქებში მუშაობდნენ, თეატრის დირექციის თაოსნობით ბრუნდებიან ტფილისში სამუშაოდ. სამსახიობო ნაწილი გაძლიერებულია ისეთი ნიჭიერი მსახიობებით, როგორიც არიან ანდღულაძე, ქუმსიაშვილი, ინაშვილი, ამირანაშვილი, ცომაია, სოხაძე, დოლიძე, მუზთაროვა და სხვ.

რიცხობრივად გაძლიერებულია თეატრის გუნდიც. წელს გუნდში 110 კაცი იმუშავებს. გუნდი შევსებულია ადგილობრივი კადრებით. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბალეტს. ბალეტში 90 კაცი იმუშავებს. თეატრში მუდმივ სამუშაოზე მოწვეული არიან საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი მოცეკვავეები ვახტანგ ჭაბუკიანი და ელენე ჩიქვაიძე.

თეატრში სამუშაოდ მოწვეული არიან ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები: შოთა აღსაბაძე, ალ. თაყაიშვილი, ქ. პატარიძე. სარეჟისორო მუშაობას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ალ. წუწუნავა.

თეატრში იმუშავებენ აგრეთვე ცნობილი მხატვრები პროფ. ლ. გუდიაშვილი, ირ. გამრეკელი და ს. ქობულაძე; სამხატვრო განყოფილებას ხელმძღვანელობს ს. ვირსალაძე.

განახლებული და შევსებულია თეატრის რეპერტუარი. მომავალი სეზონისათვის ნაჩვენები იქნება ოპერა „დაისი" ახალი დადგმით. სდგამს რეჟ. ალ. წუწუნავა, მხატვარი ს. ვირსალაძე, დირიჟორობს ე. მიქელაძე. „აბესალომ და ეთერი" (განახლებული დადგმით), სდგამს რეჟ. შ. აღსაბაძე, მხატვარი: ირ. გამრეკელი, დირიჟორობს ე. მიქელაძე. წელს წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ოპერა „თამარ ცბიერი", რომელიც დიდი ხანია არ წასულა ტფილისის თეატრში. ეს ოპერა მუსიკალურად შევსებულია კომპოზიტორ ბალანჩივაძის მიერ. ოპერას სდგამს ალ. წუწუნავა, აფორმებს სერ. ქობულაძე, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი.

ახალი დადგმითვე ნაჩვენები იქნება „ქეთო და კოტე". ესეც მუსიკალურად შევსებულია და დამატებულია მეოთხე ახალი მოქმედება. სდგამს ქ. პატარიძე, მხატვარი პროფ. ლ. გუდიაშვილი, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი. ტექსტს რედაქცია გაუკეთა და შეავსო ძველი ტფილისისა და მისი ყოფაცხოვრების მცოდნე პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა. განახლებული დადგმით მიდის აგრეთვე „ოტელო". რეჟისორი ალ. თაყაიშვილი, მხატვარი ს. ვირსალაძე, დირიჟორი ე. მიქელაძე.

ყველა დადგმის ქორეოგრაფიულ ნაწილს („ქეთო და კოტეს" გამოკლებით) ამზადებს დ. ჯავრიშვილი, ხოლო „ქეთოს და კოტეს" ბალეტმეისტერი ილ. სუხიშვილი.

თეატრის ყველა დადგმა ნაჩვენები იქნება არა უგვიანეს მომავალი წლის პირველი იანვრისა.

სეზონის მეორე ნახევარში დაიდგმება ისეთი ნაწარმოებები, რომელთაც კავშირი აქვთ პუშკინის დღეებთან. პუშკინის იუბილეს აღსანიშნავად დადგმული იქნება „ბორის გოდუნოვი", „მაზეპა" და „ბახჩისარაის შადრევანი".

თეატრის დირექციას გადაწყვეტილი აქვს თავის რეპერტუარში შეიტანოს ძერჟინსკის ოპერა „წყნარი დონი", რომელიც საბჭოთა კავშირის ქალაქებში დიდი წარმატებით სარგებლობს.

სეზონისათვის სააბონემენტო სისტემა არ იქნება, ბილეთები გაიყიდება უშუალოდ სალაროში. ადგილების ფასი წელს საგრძნობლად დაკლებულია. ეს გარემოება ხელს შეუწყობს მეტ მაყურებელთა მოზიდვას.

ს პ ო რ ტ ი

ტფილისის „დინამომ" მოუგო მოსკოვის „სპარტაკს"

ტფილისის „დინამოს" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები ერთერთი მთავარი პრეტენდენტებია „საბჭოთა კავშირის თასის".

16 აგვისტოს მოსკოვში შესდგა აღნიშნული გუნდების შეხვედრა. გამარჯვება უფლებას იძლეოდა ნახევრად ფინალში გასვლისა, დამარცხებულ გუნდს გზა ეღობებოდა პირველობისაკენ.

ტფილისელებმა თამაში მეტად ენერგიულად დაიწყეს. საუკეთესოდ თამაშობენ მცველები, განსაკუთრებით შ. შავგულიძე.

„სპარტაკმა" დიდხანს ვერაფერი გააწყო. თერთმეტმეტრიან თავისუფალი დარტყმიდან გატანილი ბურთი ტფილისის ფეხბურთელებმა 29 წუთზე გააქვითეს.

სამი წუთით ადრე ტაიმის დამთავრებამდე ტფილისელების ბადეში მეორე ბურთი შევარდა, ისიც თერთმეტი მეტრიდან დარტყმული. ანგარიშია 2:1. ერთი წუთის შემდეგ ტფილისის ჰიშკარში მესამე ბურთმა გაიარა.

1:3 წააგეს ტფილისელებმა თამაშის პირველი განყოფილება. შეჯიბრების ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო. რას შეეძლო დამარცხებისაგან ეხსნა ტფილისის გუნდი?

13 წუთით ადრე თამაშის დამთავრებამდე „სპარტაკის" ბადეში შევარდა მეორე ბურთი. ანგარიშია 3:2. თამაში მწვავე ხასიათს ღებულობს. ორი წუთით ადრე შეჯიბრების შეწყვეტამდე ტფილისელები ურტყამენ „პენალტს". ანგარიში გათანაბრებულია. წესის თანახმად, მსაჯმა უნდა დანიშნოს დამატებითი დრო, მაგრამ ბნელა, თამაშის გაგრძელება აღარ შეიძლება. მატჩი გადათამაშებულ იქნება.

○

20 აგვისტოს ტფილისის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი" კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეჯიბრება დამთავრდა ტფილისელების ბრწყინვალე გამარჯვებით 6:3.

ამრიგად, ტფილისელი ფეხბურთელები გამოვიდნენ „საკავშირო თასის" გათამაშების ნახევრად ფინალში. გამარჯვებულ გუნდს შეჯიბრება ექნება მოსკოვის „დინამოსთან", როცა ეს უკანასკნელი ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნდება.

◇

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ვინ ხელმძღვანელობს წეროვის სოფ. საბჭოს.

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ჯუღელის რაიონიდან გვატყობინებდა, წეროვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ალ. პანკოტაძე თვითნებურად მუშაობს, თანამშრომლებს უდიერად ეპყრობა, სახელმწიფო ქონებას ანიავებს, სპეკულიანტობასაც მიჰყო ხელი და გახრწნილ ცხოვრებას ეწევაო.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჯუღელის რაიპროკურორს ამხ. ალ. ბუაჩიძეს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ალ. პანკოტაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ტურნირი ნოტინგემში

ტურნირის პირველი ნახევრის შედეგები

[illegible] ერთი მეტად საინტერესო საკითხი [illegible] ფლორი, ბოტვინიკი, ფაინი და რეშევსკი საჭადრაკო ხელოვნების გამოცდილ ოსტატებთან—ალიოხინთან, კაპაბლანკასთან, ლასკერთან, ეივესთან და სხვებთან შეხვედრისას.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ მათი პირველი შეხვედრები ახალგაზრდობის გამარჯვებით დამთავრდა.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა ჩვენი ფალავნის მ. ბოტვინიკის მიერ მოპოვებული წარმატება. მას ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ წაუგია, მიუხედავად იმისა, რომ ითამაშა ალიოხინთან, კაპაბლანკასთან და ფლორთან. ამასთანავე შესანიშნავად ენერგიული თამაშით მოუგო „გერმანელ" ბოგოლიუბოვს და ტარტაკოვერს.

ბოტვინიკის შედეგები უსათუოდ თვალსაჩინოა, რაც მის უტყუარ ნიჭს მოწმობს.

კარგად თამაშობს აგრეთვე ამერიკის წარმომადგენელი ფაინი. მართალია, მას ჯერ არ უთამაშნია შეჯიბრების ძლიერ მონაწილეთა უმეტეს ნაწილთან, მაგრამ ამასთანავე მას ჯერ არც ერთი პარტია არ წაუგია. რეშევსკიმ თავისი პირველი შედეგებით დაამტკიცა, რომ იგი სრული პასუხისმგებლობით და მასთან უფლებით იბრძვის პირველი ადგილისათვის.

ჯერჯერობით ამ ოთხთა შორის ვერ შევიდა „ფორმაში" ფლორი. ადვილად შესაძლებელია მან ვერც კი გაიმეოროს ისეთი შედეგები, რომელსაც მისგან მოელიან. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ უკანასკნელ დროს ფლორი ანგარიშგაუწევლად, ძალის დაუზოგველად თამაშობდა მთელ რიგ პასუხსაგებ შეჯიბრებებში და ახლა შესაძლებელია დაღლილობა დაეტყოს.

დანარჩენ შედეგებიდან უსათუოდ პირველ რიგში აღსანიშნავია მსოფლიო ფალავნის ძლევამოსილი წინსვლა. მეცხრე ტურიდან დაწყებული ეივე შეხვდება ყოფილ მსოფლიო ფალავნებს, აგრეთვე ბოტვინიკს და ფლორს. თუ აქ იგი შეძლებს დამარცხების თავის აცილებას, პირველ ან მეორე ადგილს აუცილებლად შეინარჩუნებს.

ჯერჯერობით სუსტად თამაშობს კაპაბლანკა. მას თითქმის პირველ ადგილზე მოელოდნენ. მეტად საეჭვოა, რომ შეჯიბრების მეორე ნახევარში მან შესძლოს მდგომარეობის გამოსწორება.

გაკვირვებას იწვევს ალიოხინი. ალიოხინმა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მწვავე და შედეგიან მოთამაშედ ითვლება, ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი პარტიის მოგება შესძლო. დანარჩენები ყაიმით დასრულდა. იქნებ იზოგავს ძალას შეჯიბრების მეორე ნახევრისათვის?

ა. ფ—ლი.

—○—

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ჩვენი გაზეთის 21 აგვისტოს ნომერში მოთავსებული ფელეტონის „სოციალიზმის შენება ჩვენს ქვეყანაში და კონტრრევოლუციური ტროცკიზმი" მე-6 სვეტის პირველ აბზაცში სწერია: „ლენინი წინადადებას იძლეოდა ორივეს პარტიიდან გარიცხული „კლიკური საქმიანობისათვის" და სხვ. უნდა იყოს: „ლენინი წინადადებას იძლეოდა ორივე გარიცხათ პარტიიდან „კლიკური საქმიანობისათვის". და სხვ.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

პროპაგანდის კაბინეტი — საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი სკოლების პროპაგანდისტთა თათბირი. გახსნილ იქნება პროპაგანდისტების ამხ. სოგუას (განსახკომი) და ამხ. თამაზაძის (№ 1 სტამბა) მეცადინეობის მეთოდები. საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და კომკავშირული აქტივისათვის თემაზე — „ახალგაზრდობის მე-22 საერთაშორისო დღე". საღამოს 8 საათზე.

○

დღეს, 22 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, პარტიის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის თემაზე: „ტროცკისტთა და ზინოვიეველთა გზა—ღალატისა და გამცემლობის გზაა".

○

დღეს, 22 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება პროპაგანდისტების რაიონული თათბირი პარტდოკუმენტების გამოცვლის შედეგებზე. თათბირს უნდა დაესწროს რაიონის ყველა პროპაგანდისტი.

სახკინმრეწვის თეატრები	ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	დიდი ხმოვანი ფილმი „პ ე ტ კ ა" (პეტერი) ფრანჩესკა გაალის მონაწილეობით.
	დამკვრელი საზ.-საზაფ. საზაფ. 9, 10-45 საზამ. 7, 8-45, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი ორ სერიად „მტრის ზურგში" დღეს 1 სერია.
	კომკავშირელი საზ.-საზ. საზამ. 6-30, 8-30, 10-30 საზაფ. 8-15, 9-45	ფერადი ხმოვ. პროგრამა 1) კუკარაჩა. 2) 3 გოჭი. 3) ხუმარა პინგვინები. 4) მიკი დირიჟორი
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-45, 8-30, 10-45	მხატვრული ფილმი „განწირულნი" 3 სერიად. დღეს მე-2 სერია
	საზაფ. „ეთერი" 8-30, 10-45	ხმოვ. ამერიკ. მხატვრ. ფილმი „ახალი დროება" ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით.
	26 კომ. სახ. 8-30, 10-30	მხატვრ. ხმ. ფილმი „ცირკი" (ახალი ეკზემპლარი)
	კომინტერნი საზაფ. 8-30, 10-30	ხმოვ. ამერიკ. მხატვრ. ფილმი „ახალი დროება" ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით.

სტალინის სახელობის საქ. სოფ. მეურ. უმაღლესი

კომუნისტური სკოლა

აცხადებს, რომ სწავლა ყველა განყოფილებაზე დაიწყება პირველ სექტემბერს.

დაგვიანებით გამოცხადებული სტუდენტები მექანიკურად გაირიცხებიან სკოლიდან.

კათედრის და კაბინეტის გამგეები სკოლაში უნდა გამოცხადდნენ 25 აგვისტოს.

15779 რექტორი რ. მელაძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ: 1. მეცადინეობა უნივერსიტეტის ყველა კურსზე დაიწყება ა.-წ. 1-ლ სექტემბერს.

2. ყველა პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ უნივერსიტეტში 31 აგვისტოს და გაეცნონ მეცადინეობის ცხრილს.

3. 31 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, შესდგება პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრება. დღის წესრიგი: მოხსენება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

4. პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოკრულია უნივერსიტეტში და გადაგზავნილია რაიონების განათლების განყოფილებაში.

5. პირველ სექტემბერს მეცადინეობის შემდეგ დღის 3 საათზე უნივერსიტეტის კლუბში შესდგება პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

6. პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტები ვალდებულნი არიან გაიარონ საექიმო შემოწმება 31 აგვისტოს და 1-ლ სექტემბერს უნივერსიტეტის ამბულატორიაში (მარის ქუჩა № 11).

7. პირველ და ორ სექტემბერს 1-ლ კურსზე ჩარიცხული სტუდენტები ვალდებულნი არიან გაიარონ რეგისტრაციაში საექიმო შემოწმების შემდეგ სათანადო ფაკულტეტების მდივნებთან.

8. ის პირნი, რომლებიც არ გაივლიან საექიმო შემოწმებას და არ გაიარებენ რეგისტრაციაში გაირიცხებიან უნივერსიტეტიდან.

40 ტფილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი კ. ორაგველიძე.

გურჯაანის რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მჭედლიშვილი აცხადებს, რომ ა/წ. 27 აგვისტოს, დღის 1 საათზე, კაჭრეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ამავე მეურნეობის შემდეგ ქონებას:

10 სული ძროხა, 5000 ფუთი არჩეული თივა. ქონება შეფასებულია 11000 მანეთად და იყიდება სამტრესტის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ა.-კ. ს.ფ.ს.რ. მიწსახკომთან არსებულ ცენტრალურ არბიტრაჟის ბრძანებისა № 125, 1936 წლ. 26 ივნისიდან. 15775

საქ. ს. ს. რ. მიწსახკომის მევენახეობა—მებაღეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის" შენაერთი დასკვნითი

ბ ა ლ ა ნ ს ი

1936 წ. 1 იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი			პ ა ს ი ვ ი		
№№ რიგ.	ანგარიშის დასახელება	ჯ ა მ ი	№№ რიგ.	ანგარიშის დასახელება	ჯ ა მ ი
1	ძირითადი საშუალებანი	66.670.593—18	1	საწესდებო ფონდი	39.616.069—73
2	საწარმოო მარაგი	36.597.845—00	2	ძირითად საშუალებათა ცვეთის ფონდი	11.311.871—63
3	დაუმთავრებელი წარმოება	2.813.927—50	3	სპეც. დანიშნულების ფონდები	305.415—07
4	საქონელი საწყობებში და გზაში	49.823.916—58	4	რეზერვები	8.624.129—90
5	საქონელი გადაგზავნილი მყიდველებისათვის	9.527.939—46	5	გრძელვადიანი სესხები	612.256—28
6	ფულადი საშუალებანი	7.026.699—89	6	მოკლევადიანი ბანკის სესხები	54.193.978—36
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	10.272.464—79	7	ბლანკიანი სესხი საბრუნავ საშუალებათა გასაძლიერებლად	23.000.000—00
8	ანგარიშსწორება სისტემის რგოლთა შორის	17.266.386—58	8	კრედიტორები	11.072.660—29
9	განყენებული საშუალებანი	2.859.111—15	9	ანგარიშსწორება სისტემის რგოლთა შორის	17.237.258—15
10	მომავალი წლის ხარჯები	940.581—54	10	ფინსახკომიდან ბრუნვიდან გადასახადით	18.100.329—60
			11	მომავალი წლის შემოსავალი	308.860—00
			12	დაგროვება 1935 წლისა	19.442.121—63
	ბ ა ლ ა ნ ს ი	203.819.465—67		ბ ა ლ ა ნ ს ი	203.819.465—67

ბალანსი დამტკიცებულია საქ. მიწსახკომის საბალანსო კომისიის მიერ 1936 წლის 22 მაისის დადგენილებით № 51.

1559 სამტრესტის მმართველი კუხალეიშვილი მთ. ბუხჰალტერი ჰანტურაია.

ბ ა ლ ა ნ ს ი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის 1936 წ. 1 იანვრისათვის.

ა ქ ტ ი ვ ი				პ ა ს ი ვ ი			
№№ რიგზე	მუხლების დასახელება	ჯ ა მ ი მანეთი	კაპ.	№№ რიგზე	მუხლების დასახელება	ჯ ა მ ი მანეთი	კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	1.892.092	18	1	საწესდებო ფონდი	2.440.267	49
2	საწარმოო მარაგი	527.463	32	2	მიზნობრივი დანიშნულების ფონდები	404.965	34
3	დაუმთავრებელი წარმოება	430.789	10	3	რეზერვები	41.591	85
4	მზა ნაწარმი	400.589	17	4	სარეგულაციო ანგარიშები	15,610	—
5	გადაგზ. საქონელი და შეუსრულ. სამუშ.	91.849	99	5	მოკლევადიანი საბანკო დაკრედიტება	7.762	58
6	სარეალიზაციოდ გამოყოფილი საგნები	54.357	34	6	ანგარიშსწორებანი	471.357	95
7	ფულადი საშუალებანი	181.675	85	7	მომავალი პერიოდის შემოსავალი	25.000	—
8	ანგარიშსწორებანი	133.281	19	8	დაგროვებანი	595.242	27
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	34.158	71				
10	განზიდული საშუალებანი	255.530	63				
	ბ ა ლ ა ნ ს ი	4.001.787	48		ბ ა ლ ა ნ ს ი	4.001.787	48

დირექტორი სიტნიკოვი. მთ. ბუხჰალტერი პაპოვა.

1550

გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა მ ი ღ ე ბ ა

ტფილისის სამკერვალო ინდუსტრიალურ ტექნიკუმში ა.-წ. 24 აგვისტომდე. გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს. სწავლა—1 სექტემბერს.

მიიღებიან არასრულ საშ. სკოლის კურსდამთავრებულნი, ორივე სქესის მოქალაქენი 16-დან 30 წლამდე.

მიღება იწარმოებს ორ სპეციალობაზე—მექანიკურსა და ტექნოლოგიურზე. სათანადო სპეციალობის კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულთ ეძლევათ სამკ. ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკოს-მექანიკოსთა, საამქროს გამგეთა და ინსტრუქტორთა კვალიფიკაცია.

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობა არასრ. საშ. სკოლის დამთავრებისა, ჯანმრთელობის, დაბადების, ორი ფოტოსურათი შემსვლელის ხელისმოწერით და სათანადო ორგანოს მიერ დადასტურებული, პასპორტი (წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად).

გამოცდები შემდეგ საგნებში: დედაენა, მათემატიკა, რუსული ენა, ფიზიკა, პოლიტცოდნა.

ვისაც არასრული საშ. სკოლა დამთავრებული აქვს ფრიადზე, მიღებული იქნება უგამოცდოდ. მიღებულნი საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო ბინითა და სტიპენდიით.

ტექნიკუმის მისამართი: ტფილისი, კალინინის ქ. № 60.

707 დ ი რ ე ქ ც ი ა.

წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ახალციხის სარაიონთაშორისო კანტორა

რეგისტრირებულია ახალციხის რაიფინგანში № 249, 1934 წ. 28 თებერვალს.

საქმიანობის საგანი: სანიტარიისა და ჰიგიენის მაღაზია.

საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის ახალციხის განყ-ში № 160—14.

მისამართი: ახალციხე, წითელი ჯვარი.

26 თავმჯდომარე კარაპეტიანი მთ. ბუღალტერი ხაჩვანკიანი.

ცოლი მარიამი, შვილები: დავითი, ოტე, როზა, ნუნუ, გუჯა, ძმა სოლომონი, რძალი ოლა იუწყებიან გიორგი დავითის-ძე კანდელაკის გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7 ს. დაკრძალვა ოცდასამში 5 ს. კვირაცხოვლის, 5. 15777

ეკო ძინძიბაძე იუწყებს ნათესავ-მეგობრებს უსაყვარელესი მეუღლისა და მეგობრის ელენე ალექსის-ასული ქვირკველია—ძინძიბაძის უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. მეორე საავადმყოფოში. გასვენება 23 აგვისტოს 4½ ს. 15776

მარიამ სოხლულაშვილისა ოჯახობით, ზაქარია და ილია კიღურაძეები ოჯახებით იუწყებენ ძვირფასი დისწულის ქეთო ავალიშვილის უდროოდ დაკარგვას. 15774

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იასონ, შვილი გოგი ბაილაშვილები იუწყებიან უძვირფასესი ანიკო სიმონის-ასული მართაშვილ—ბასილაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 აგვისტოს ს. კარდენახში. 15778

დამწუხრებული მეუღლე ბაბინე, შვილები: ალექსანდრე, გაიანე, კოლია, ვალიკო, რძალი ნატაშა, შვილიშვილები: ნორა, ვივა ჩხაიძეები იუწყებიან მათთვის უსაყვარელესი თეოფილე გულუანის-ძე ჩხაიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 აგვისტოს ს. ალვანში. 15768

ხობის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის თანამშრომლები: ალ. მირცხულავა, ალ. გაბუნია, პ. ესებუა, მ. კუკავა, ძ. კუკავა იუწყებიან ამავე ტრესტის მთავარ ბუღალტრის სოსონ ზარქუას შვილის ლ ე ო ს უდროოდ დაკარგვას. 15770

საქ. პ. გ. სამმართველოს სააღმშენებლო კანტორის მუშა - მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილის ინჟინერ ვარლამ აბდალაძის მამის ტრიფონ აბდალაძის გარდაცვალებას, დაკრძალვა ქუთაისში, 23 აგვისტოს. 15753

დამწუხრებული მშობლები: მელქისედეკ (ბუხუტი), თამარ ძმა ტრისტანი, ბაბუა ერმილე, ბებია ქრისტინე, ბიძა აბესალომ, მამიდები: მარო, მარგარიტა იოსელიანები იუწყებიან ამირან იოსელიანის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ახაშენში 23 აგვისტოს. 15757

ბიძები გიორგი, ლეონ, გერმან, მამიდები: ელიადა, ბაბო, რძალი ლიდა გიორგაძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ძმისწულის შოთა ვანოს-ძე გიორგაძის გარდაცვალებას. ს. ცხემლისხიდში.

რესპუბლიკური სააფთიაქო სამმართველო იუწყება ამავე სამმართველოს ვაჭრობის განყოფილების მმართველის დამსახურებული ფარმაცევტის ვალიკო რუხაძის უდროოდ გარდაცვალებას. 15760

ბ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 65.
მთავლიტის რწმუნებული ლ 8549